25

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი

Tbilisi International Book Festival

ფესტივალის ორგანიზატორი:

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

ტელეფონი: +995 592 51 83 83
ელფოსტა: info@gpba.ge; dir@gpba.ge
საკონტაქტო პირი: თინათინ ბერიაშვილი
ვებგვერდი: www.gpba.ge

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებლთა ასოციაცია დაარსდა 1996 წელს, 2007 წელს კი გახდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (IPA) წევრი. დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა დაახლოებით 90 პროცენტი ასოციაციის წევრია.

ასოციაცია განსაზღვრავს და იცავს წიგნის სექტორის ინტერესებსა და საავტორო უფლებებს, უზრუნველყოფს ბეჭდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში; მართავს როგორც ადგილობრივ წიგნის ბაზრობებს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, ასევე პროფესიულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს ქართველი გამომცემლებისა და გამავრცელებელი ორგანიზაციებისათვის. ამასთანავე, ასოციაცია უკვე მრავალი წელია მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე და წარადგენს საქართველოს ეროვნულ სტენდს.

ასოციაციის უმთავრესი მიზანია ლიტერატურული პროცესისა და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში; ზრუნვა ნებისმიერი ასაკის ადამიანების, მათ შორის, ბავშვებისა და ახალგაზრდების, წიგნიერების დონის ამაღლებაზე; ლიტერატურასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიის წა-

რმომადგენლების ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა; წიგნის კითხვის პოპულარიზაცია და შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების მხარდაჭერა. ასოციაცია წარმოადგენს გამომცემლებს, მათ ინტერესებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან სექტორისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე, იქნება ეს საავტორო უფლებები, სასკოლო სახელმძღვანელოები თუ აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივები.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, წიგნის სექტორის განვითარებისთვის წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი, ტრადიციული და ახალი პროექტი ხორციელდება. მათ შორისაა: თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც უკვე 25 წლიანი ისტორია აქვს, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე, საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი, საქართველოს ეროვნული სტენდები საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე, მათ შორის ბოლონიაში, ლონდონში და ფრანკფურტში. 2022 წელს, თბილისის მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობით, გამომცემელთა ასოციაციამ წიგნის საახალწლო ფესტივალი დააარსა, რომელიც ყოველწლიურად, დეკემბერში ჩატარდება. დაარსდა საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“, რომელიც უკვე ორჯერ გაიმართა საახალწლო ფესტივალის ფარგლებში.

თბილისის წიგნის საიუბილეო, 25-ე საერთაშორისო ფესტივალი

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, 25 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით თბილისის წიგნის საიუბილეო, 25-ე საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1998 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნის ფესტივალია, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ათიათასობით გულშემატკივარი და დამთვალიერებელი ჰყავს. ფესტივალის მთავარი მიზანია საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, წიგნის ბაზრის რეგიონალიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. წლების განმავლობაში თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მიანიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მასმედიისა და ახალი მონაწილეების მზარდი რაოდენობა. ფესტივალს ყოველწლიურად 100 000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობს, მონაწილეობს 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია.

წელს ფესტივალი ტრადიციული მასშტაბითა და ფორმატით, ექსპო ჯორჯიას პავილიონებში უმასპინძლებს მკითხველებს. მე-11 პავილიონში წარმოდგენილი იქნება, როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მთავარი სტენდები, ხოლო მე-6 და მე-5 პავილიონებში თავმოყრილი იქნება საბავშვო წიგნები და მათთან დაკავშირებული საბავშვო აქსესუარები.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა, როგორც მთავარი სცენა ლიტერატურული ღონისძიებებისთვის, ასევე საბავშვო შემეცნებით-გასართობი კუთხე ფესტივალის პატარა დამთვალიერებლებისთვის.

წიგნის ფესტივალს წელს 90-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო მონაწილე ჰყავს. ფესტივალის ლიტერატურული პროგრამის ფარგლებში, ოთხი დღის განმავლობაში, 100-ზე მეტი ღონისძიებას და ვორქშოპი გაიმართება, ამდენივე ავტორისა და გამომცემლის მონაწილეობით.

თბილისის წიგნის ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილია ფოკუს ქვეყნის პროგრამა. წელს ფესტივალის ფოკუს ქვეყანა პოლონეთია. პოლონეთის პროგრამის ორგანიზატორია პოლონური ინსტიტუტი თბილისში.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი სლოგანით #GeorgiaStandsWithUkraine (საქართველო მხარს უჭერს უკრაინას) უკვე მეორე წელია, სრულ მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას.

გარდა ამისა, ფესტივალი კვლავაც უმასპინძლებს გამორჩეულ პროექტს „მსახიობები ლიტერატურისათვის“, რომლის ფარგლებშიც თეატრისა და კინოს მსახიობები ქართველი თუ უცხოელი ავტორების ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს წარადგენენ. სცენა ექსპო ჯორჯიას მე-6 პავილიონში განთავსდება.

პროექტის ავტორია მსახიობი ნინო კასრაძე, რომელმაც ლიტერატურის პოპულარიზაციისა და სახელოვნებო სივრცეში უფრო მეტად ინტეგრაციის მიზნით არაერთი მსახიობი გააერთიანა.

წარმოგიდგენთ თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის პარტნიორებს.

თბილისის მერია თითქმის ათი წელია თბილისის მერია მხარდაჭერას უცხადებს წიგნის ფესტივლს. ფესტივალის არსებობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთგული პარნტიორების თანადგომა, რომლებიც წლის მთავარ ლიტერატურულ მოვლენას მუდმივად მხარს დაუჭერენ.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პავილიონებში მოსულ ადამიანებს მრავალფეროვანი და საინტერესო გარემო დავახვედროთ. ეს ყველაფერი ძალიან რთული იქნებოდა მეგობრების გარეშე. წიგნის ფესტივალს უკვე რამდენიმე წელია წიგნის ფესტივალს ჰყავს ერთგული მეგობარი – თიბისი, რომელიც ზრუნავს, რომ ფესტივალი წლიდან წლამდე უფრო დიდი და მრავალფეროვანი ხდებოდეს.

ფესტივალის მასშტაბურობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი არსებობა ციფრულ სივრცეში. საფესტივალო დღეებში მკითხველებს მთელი საქართველოს მასშტაბით წიგნების შეძენა საფესტივალო ფასებად რომ შეეძლოთ, ამას ჩვენი ციფრულ პარტნიორი veli.sotre უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ფესტივალის ღონისძიებები ლაივ რეჟიმშიც გავა ფესტივალის ფეისბუქ გვერდზე, წიგნების ონლაინ გაყიდვების ნაწილი კი ფესტივალის საიტზეც (tbilisibookfest.ge) იქნება შესაძლებელი.

წელს ფესტივალს განსაკუთრებული სიახლე აქვს, თბილისის წიგნის საიუბილეო, 25-ე ფესტივალი დაფინანსებულია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ. საელჩოს მხარდაჭერა ფესტივალის სტაბილურობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო.

თბილისის წიგნის 25-ე საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანა – პოლონეთი

თბილისის წიგნის ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილია ფოკუს ქვეყნის პროგრამა. 2017 წელს ფესტივალს პირველად ჰყავდა ფოკუს ქვეყანა – ნორვეგია, რომელმაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსი 2018 წელს საქართველოსგან გადაიბარა. ფოკუს ქვეყნები სხვადასხვა წლებში იყვნენ გერმანია (2018), ფინეთი (2019), თურქეთი (2022).

2023 წელს ფოკუს ქვეყნის პროგრამას პოლონეთი წარადგენს. პროგრამის ორგანიზატორია პოლონური ინსტიტუტი თბილისში.

პოლონეთის, როგორც ფოკუს ქვეყნის, სტენდზე 10 პოლონური გამომცემლობა, ორგანიზაცია თუ კვლევითი ინსტიტუტი იქნება წარმოდგენილი. გარდა ამისა, ფესტივალის პროგრამის ფარგლებში 20 პოლონელი ავტორი და მკვლევარი გამართავს შეხვედრას, ისინი ქართველ მთარგმნელებთან და ავტორებთან ერთად პოლონურ-ქართულ ურთიერთობებზე და ლიტერატურაზე ისაუბრებენ. ფესტივალს საპატიო სტუმარი, უკრაინის ინსტიტუტის დირექტორი, ვოლოდიმირ შეიკო ეწვევა.

ფოკუს ქვეყნის პროექტის ორგანიზატორი

პოლონური ინსტიტუტი თბილისში დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავზე, 2018 წლის 26 მაისს. ინსტიტუტი ორიენტირებულია პოლონურ-ქართული ურთიერთობების განვითარებაზე კულტურისა და მეცნიერების სფეროში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივები მოიცავს ქუთაისში ქართულ-პოლონური ინტერდისციპლინური კვლევის ცენტრის შექმნას და ქართულ-პოლონური ისტორიული კომისიის დაარსებას. ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხელოვნებისა და ლიტერატურის დარბაზების მართვაში იღებს მონაწილეობას. იგი მხარს უჭერს პოლონური კულტურის წარდგენას საქართველოში კონცერტების ორგანიზებით, თარგმანების და კონფერენციების მხარდაჭერით.

INTERNATIONAL CULTURAL CENTRE

საერთაშორისო კულტურის ცენტრი არის პოლონეთის ეროვნული კულტურული დაწესებულება, რომელიც დაფუძნებულია კრაკოვში. ის ახორციელებს კვლევით, საგანმანათლებლო, საგამომცემლო და საგამოფენო საქმიანობას, ემსახურება სახალხო დიპლომატიის მისიას კულტურაში საერთაშორისო დიალოგის მეშვეობით. იგი ყურადღებას ამახვილებს ცენტრალური ევროპის მემკვიდრეობის საკითხებზე. ცენტრის ინტერესებში შედის: ევროპული ცივილიზაციის მიღწევები, ცენტრალური ევროპის მულტიკულტურალიზმი, იდენტობა და მეხსიერება, კულტურისა და საზოგადოების დიალოგი, ძეგლთა დაცვა, კულტურული პოლიტიკა, ისტორიული ქალაქის ფენომენი, ცენტრი ასევე ორიენტირებულია თანამედროვე ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების მიმართულებით.

The Jan Nowak-Jeziorański College of Eastern Europe in Wrocław

აღმოსავლეთ ევროპის კოლეგია არის ვროცლავში დაფუძნებული ანალიტიკური ცენტრი და არასამთავრობო გამომცემლობა, რომელიც ორიენტირებულია პოლონეთის მეზობელ ქვეყნებზე. მისი საქმიანობა მოიცავს კვლევების ჩატარებას, პოლიტიკის დოკუმენტების გამოქვეყნებას, სემინარების, კონფერენციების ორგანიზებას, საზაფხულო სკოლების გამართვას და სხვადასხვა პროგრამების ორგანიზებას ახალგაზრდებისთვის. მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია ორი ჟურნალის გამოცემა: ინგლისურენოვანი New Eastern Europe და პოლონურენოვანი Nowa Europa Wschodnia.

Mieroszewski Centre

მიეროშევსკის ცენტრი არის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც დაარსებულია პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროს მიერ. ცენტრის მიზანია წამოიწყოს, მხარი დაუჭიროს და განახორციელოს აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს დიალოგის გამართვას პოლონელებსა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით უკრაინელებთან, ბელორუსებთან, ქართველებთან, მოლდოველებთან, მათი ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით. რუსეთის მცდელობების ფონზე, გააფართოვოს საზღვრები და აღადგინოს რეგიონული ჰეგემონია, ცენტრი მიმართულია ისეთი პროცესების მხარდაჭერაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს მომწიფებული დემოკრატიის მშენებლობას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებას და პოლონეთთან კავშირების გაღრმავებას.

Ośrodek Karta

KARTA არის დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია და ყველაზე დიდი სოციალური არქივი პოლონეთში. KARTA დაარსდა 1982 წელს, როგორც მიწისქვეშა გაზეთი, ხოლო ოფიციალური ფუნქციონირება დაიწყო 1990 წელს. ცენტრის მისიაა აღმოაჩინოს, დაიცვას და გაავრცელოს ისტორია ცალკეული ადამიანების პერსპექტივიდან. ფონდი აგროვებს ფოტოებს, დოკუმენტებს, მიმოწერას, დღიურებს და აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, ასევე სუვენირებსა და ექსპონატებს პოლონეთისა და მსოფლიოს ისტორიის მოწმეებისგან. გარდა საარქივო საქმიანობისა, ცენტრი საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა. ატარებს მრავალ დოკუმენტურ და კვლევით პროექტს პოლონეთისა და მსოფლიოს წამყვან ისტორიკოსებთან თანამშრომლობით.

„ბორდერლენდი – ხელოვნება, კულტურა და ეროვნებები“ არის სეინიში დაფუძნებული ცენტრი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ორიგინალური კულტურული დაწესებულებაა პოლონეთში. „ბორდერლენდი“ ახორციელებს სხვადასხვა კულტურულ, მხატვრულ, საგანმანათლებლო და საგამომცემლო აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებულია მულტიკულტურალიზმის ფართოდ გააზრებულ თემაზე. ცენტრის მისიაა პოლონეთში და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურებს შორის შემოქმედებითი თანაარსებობისა და დიალოგის ყველა ფორმის ინიცირება.

CENTRE FOR
EAST EUROPEAN STUDIES
UNIVERSITY OF WARSAW

ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრი წამყვანი ინტერდისციპლინარული აკადემიური ცენტრია პოლონეთში, რომელიც ორიენტირებულია ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნების საკითხებზე. იგი აღმოსავლეთის კვლევებს აწარმოებს ბაკალავრიატის, სამაგისტრო და ასპირანტურის პროგრამებისთვის. კვლევა მოიცავს ვრცელ სამეცნიერო და დიდაქტიკურ საქმიანობას, ასევე აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალებს Nowy Prometeusz და Warsaw East European Review, ისევე როგორც Pro Georgia-ს ყველაზე ცნობილ და უნიკალურ ყოველწლიურ გამოცემას – ჟურნალს, რომელიც ეძღვნება მხოლოდ ქართველოლოგიის საკითხებს. სხვა კონფერენციებსა და სემინარებთან ერთად ცენტრი აწყობს წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის ყოველწლიურ კონფერენციას. ცენტრი თავისი დიდაქტიკური საქმიანობის ფარგლებში აწარმოებს აღმოსავლეთ საზაფხულო სკოლას, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდა მკვლევრებს ყოფილი სსრკ-ს, ცენტრალური ევროპის, ასევე დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს ქვეყნებიდან, რომლებიც იკვლევენ პოსტსაბჭოთა ტერიტორიის ისტორიასა და აწმყოს.

HERITO
www.herito.pl

ჰერიტო არის ორენოვანი ინგლისურ-პოლონური კვარტალური გამოცემა ცენტრალური ევროპის მემკვიდრეობისა და კულტურის შესახებ, რომელიც ქვეყნდება კრაკოვის საერთაშორისო კულტურის ცენტრის მიერ. ჟურნალი გთავაზობთ უნიკალურ ფორუმს დისკუსიებისთვის მემკვიდრეობის, კულტურის, ჩვენი დროისა და მომავლის შესახებ. როგორც პერიოდული გამოცემა, ის ყურადღებას ამახვილებს ლოკუსის საკითხებზე და მასთან დაკავშირებულ რეფლექსიებზე, სივრცეზე და მის სხვადასხვა მნიშვნელობებზე, წარმოსახვისა და მეხსიერების გეოგრაფიაზე, აგრეთვე გამოცდილების მემკვიდრეობასა და კულტურულ დილემებზე, რომლებიც ერთდროულად უნიკალური და უაღრესად აქტუალურია თანამედროვე დებატებისთვის.

Wydawnictwo Ossolineum

ოსელინეუმი არის პოლონური კულტურული ფონდი, გამომცემლობა, საარქივო ინსტიტუტი და ეროვნული მნიშვნელობის კვლევითი ცენტრი, რომელიც დაარსდა 1817 წელს ლვოვში. 1947 წლიდან მდებარეობს ქალაქ ვროცლავში და არის ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დაწესებულება და ამავდროულად ყველაზე ძველი გამომცემლობა პოლონეთში, რომელიც მოქმედებს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. იგი ატარებს მისი დამაარსებლის, პოლონელი დიდგვაროვნის, გრაფი იოზეფ მაკსიმილიან ოსოლინსკის სახელს.

New Eastern Europe

ახალი აღმოსავლეთი ევროპა არის ექსკლუზიური ახალი ამბების ჟურნალი, რომელიც გამოდის ორ თვეში ერთხელ და ეძღვნება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ვროცლავის აღმოსავლეთ ევროპის იან ნოვაკ-იეზიორანსკის კოლეჯის მიერ. ეს გახლავთ ანალიტიკური ცენტრის მიერ პოლონეთში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია. რედაქცია მდებარეობს კრაკოვში. ახალი აღმოსავლეთ ევროპის მისიაა დებატების ჩამოყალიბება, ინტელექტისა და დიალოგის გაღრმავება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც დგას სახელმწიფოები, რომლებიც ოდესღაც საბჭოთა კავშირის ნაწილი იყვნენ ან მის გავლენას განიცდიდნენ. ახალი აღმოსავლეთ ევროპა არ არის სამეცნიერო ჟურნალი და უფრო ჟურნალისტურ მიდგომას იყენებს ჟურნალისტების, ექსპერტების, ანალიტიკოსების, მწერლების, ისტორიკოსების, ასევე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიდერებისა და პოლიტიკური მოღვაწეების კომენტარებით/ანალიზებით.

ფესტივალის სტუმრები პოლონეთიდან

კრიშტოფ ჩიჟევსკი არის იდეების პრაქტიკოსი, მწერალი, რეჟისორი და კულტურული ცენტრი „ბორდერლენდის“ თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი ქალაქ სეინში, ასევე Borderland Foundation-ის პრეზიდენტი და კრასნოგრუდაში დიალოგის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი. კრიშტოფი არის კულტურათაშორისი დიალოგის მრავალი პროექტისა და პროგრამის ინიციატორი, მოწვეული ლექტორი და პროფესორი რიგ უნივერსიტეტებში. მას არაერთი ჯილდო და ორდენი აქვს მიღებული, მათ შორის არის გაბორ ბეთლენის პრემია ცენტრალური ევროპის პერსონისთვის, გლორია არტის ვერცხლის მედალი კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის, Polonia Restituta-ს ორდენი, დონ დეივიდის პრემია და საპატიო ოქროს ვარსკვლავი ლიტვის სამინისტროსგან ლიტვის კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერისთვის.

ფილიპ ბრიკა არის საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის ანალიტიკოსი. მისი სპეციალიზაცია მოიცავს ჰიბრიდულ საფრთხეებსა და ნატო/ევროკავშირის კრიზისზე რეაგირების ოპერაციებს. ის არის ნატოს საჯარო დიპლომატიის სამმართველოს კვლევითი გრანტებით დაფინანსებული საერთაშორისო პროექტების მონაწილე. ასევე არის პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით; პოლონეთის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი მეცნი-

ერებათა აკადემიაში. დაამთავრა ომის შემსწავლელი უნივერსიტეტი, სახმელეთო ჯარების სამხედრო აკადემია და ვროცლავის უნივერსიტეტი. ავტორია წიგნებისა: „პროქსის ომები“ და „საერთაშორისო დეზინფორმაცია: აღიარება, ანალიზი, წინააღმდეგობა“, რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე.

იაცეკ დენელი არის პოლონელი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და მხატვარი. ავტორია ათი პოეტური კრებულის, ხუთი რომანის, მოთხრობების, საგაზეთო სტატიებისა და ესეების. დენიელმა ასევე თარგმნა ფილიპ ლარკინის, ჰენრი ჯეიმსის, ედმუნდ უაიტის, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის, ჯ.მ. კუტზეეს ნაწარმოებები. მისი ნაწარმოებები ითარგმნა ათზე მეტ ენაზე. დენიელს მიღებული აქვს ლიტერატურული პრემიები, მათ შორის Kościelski Award და Passport “Polityki”, ნომინირებულია მრავალ სხვა ჯილდოზე.

იულია ფიედორჩუკი არის მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, მკვლევარი და ეკოკრიტიკის პრაქტიკოსი, ის მუდმივად ხაზს უსვამს ლიტერატურის მნიშვნელობას. მისი ნამუშევარი წინა პლანზე წევს ადამიანებსა და მათ პლანეტურ გარემოს შორის ურთიერთობას. ის არის ვარშავის უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობე-

ბი, რომანები, ესეები და პოეზიის კრებულები. მათგან უკანასკნელს, „ფსალმუნებს“, მიენიჭა ვისლავა შიმბორსკას პრემია, პოლონეთის ყველაზე პრესტიჟული პრემია პოეზიაში. იულია ფიდორჩუკი პოლონური ყოველკვირეული გაზეთ „პოლიტიკას“ მიმომხილველია. მისი ნამუშევრები ითარგმნა 20-ზე მეტ ენაზე. მისი ახალი რომანი, „ორიონის სახლი“ 2023 წლის ბოლოს გამოვა.

ლუკაშ გალუსეკი არის კრაკოვის საერთაშორისო კულტურის ცენტრის პროგრამული პოლიტიკის დირექტორის მოადგილე; პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საერთაშორისო პოლიტიკის აკადემიის წევრი. მისი საქმიანობის სფეროა სახალხო დიპლომატია, ასევე ცენტრალური ევროპის კულტურა, ხელოვნება და არქიტექტურა, კერძოდ, ურთიერთმიმართებები სივრცეს, მეხსიერებასა და იდენტობას შორის. არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი (მაგ. Borderland. On Reviving Culture), გამოფენების თანაკურატორი ცენტრალური ევროპის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ამჟამად მუშაობს გამოფენაზე ცენტრალური ევროპის „სოცმოდერნიზმი“ – არქიტექტურა რკინის ფარდის მიღმა. გამოფენა დაგეგმილია 2023 წლის ზამთარში, კრაკოვში.

ზბიგნიევ გლუზა არის პოლონელი რედაქტორი, ფონდ KARTA Center-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. 1980 წელს იყო მოძრაობა „სოლიდარობის“ წევრი. ოპოზიციურ საქმიანობაში ჩართვის გამო 1985 წლის მარტში დააპატიმრეს და ამავე წლის სექტემბერში გაათავისუფლეს. 1987 წელს ზბიგნიევ გლუზამ წამოიწყო პროექტი, აღმოსავლეთის არქივი, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდის ისტორიას იკვლევს. 1990 წლიდან ასევე იყო კვარტალური გაზეთის “Karta” მთავარი რედაქტორი.

ლუკაშ კამინსკი არის პოლონელი ისტორიკოსი, რომელიც იკვლევს პოლონეთის ისტორიას 1945 წლის შემდეგ, განსაკუთრებით საბჭოთა ოკუპაციისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პერიოდში. ის არის ოსოლინსკის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი და ევროკავშირის ევროპული მეხსიერებისა და სინდისის პლატფორმის პრეზიდენტი, მანამდე კი იყო ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის (IPN) პრეზიდენტი.

ბარბარა კლიცკა პოლონელი პოეტი და მწერალია. მისი ნამუშევრები მოიცავს პოეზიის წიგნს, “same same,“ რომელიც ნომინირებულია სილეზიუსის პოეზიის ჯილდოზე. 2015 წელს მის მეორე წიგნს, სახელწოდებით „Nice” მიღებული აქვს ეს პრიზი და ასევე სხვა ლიტერატურის ჯილდო. მისი რომანი Zdrój ითარგმნა ექვს ენაზე; მისი ბოლო ნამუშევარია *allel.*. იგი წერს ჟურნალ Dialog-ისთვის და არის კურატორი, საბჭოს წევრი და არაერთი ლიტერატურული თუ სახელოვნებო ღონისძიების ინიციატორი და თანადამფუძნებელი, მათ შორის არის ევროპის თავისუფლების პრიზი პოეზიაში და Gdynia Literature Award.

დავით ყოლბაია წარმოშობით ქართველი ისტორიკოსი და ქართველოლოგია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და 1992 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს პოლონეთში. ის ხელმძღვანელობს კავკასიურ სემინარიას ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ განყოფილებაში, ასევე ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიის სადგურსა და პოლონურ-ქართულ ისტორიულ კომისიაში. ის არის ქართველოლოგიური კვლევების ჟურნალის, პერიოდული გამოცემა Pro Georgia-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. დავითი არის გრიგოლ ფერაძის მემკვიდრეობის საერთაშორისო კომისიის წევრი. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეტანილი

წვლილისთვის დაჯილდოებულია გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტის ჯილდოთი - Honoris Causa, ასევე Polonia Restituta-ს ორდენის დიდი ჯვრით.

ზოფია კრული არის პოლონელი ლიტერატურათმცოდნე, თეორეტიკოსი, კულტურის მიმართულების ჟურნალ *Dwutygodnik*-ის ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი, ასევე ფილოსოფიის დოქტორი. ის არის ავტორი წიგნისა „უკან სამყაროში: მე-20 საუკუნის ფილოსოფიასა და ლიტერატურის ყურადღების ისტორია“(2013).

ვალდემარ კულიგოვსკი პოლონეთის ქალაქ პოზნანის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია. ის ასევე არის კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. ატარებდა საველე სამუშაოებს ევროპაში, აზიასა და ამერიკაში. არის ავტორი და თანარედაქტორი ათეულობით წიგნისა, მათ შორის: „ხელოვნება თანამედროვე კულტურულ სისტემებში: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა“ (2014); „სტერილური და იზოლირებული? ანთროპოლოგია დღეს უნგრეთსა და პოლონეთში“ (2015); „სიმღერის კვლევები“ (2021). ის არის პოლონეთის ყველაზე დიდი მუსიკალური ჯილდოს კონკურსის ჟიური, ასევე სავაჭრო პალატის მხარდამჭერი წევრი პოლონელი არტისტების მენეჯერებისთვის.

ანნა ლაზარი არის საერთაშორისო არტისტული გაერთიანების პროგრამის Wolne Słowo-ს კურატორი გდანსკის ლიტერატურის ქალაქის პროექტში, თანამედროვე კულტურის მხატვარი, უკრაინული ლიტერატურის მთარგმნელი *(„რატომ არიან დიდი ქალები უკრაინულ ხელოვნებაში“ (2020), „ოქსანა ზაბუჟკო“(2022) „ილია კამინსკი, ყრუთა რესპუბლიკა“(2023*). ასწავლიდა ხელოვნების ინსტიტუტში და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურულ კვლევით ინსტიტუტში. მუშაობდა ლოძის ხელოვნების მუზეუმში კურატორად და პოლონური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ კიევსა და სანქტ-პეტერბურგში.

მაგდალენა ნოვაკოვსკა არის პოლონელი ქართველოლოგი, კულტურის მკვლევარი, კომუნიკაციების ექსპერტი და ქართული და პოლონური ლიტერატურის მთარგმნელი. თარგმნილი აქვს პოლონეთსა და საქართველოში გამოცემული ათზე მეტი მხატვრული, დრამატურგიული და პოეტური წიგნი. დაამთავრა საქართველოს საჯარო საქმეთა ინსტიტუტი და მუშაობდა კომუნიკაციების ექსპერტად UNDP-ში და პოლონეთის საელჩოში საქართველოში. იყო პოლონური და საერთაშორისო მედიის კორესპონდენტი კავკასიაში. შექმნა და უძღვებოდა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ერთობლივ ინიციატივებს კავკასიის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ბალკანეთისა და ევროკავშირის

ქვეყნებიდან ხელოვანებს, კურატორებსა და აქტივისტებს შორის. ის მუშაობს დოქტორანტურაზე კულტურულ ანთროპოლოგიაში პოზნანის ადამ მიცკიევჩის უნივერსიტეტში.



მიკოლა რიაბჩუკი არის კიევის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი და ვარშავის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. მან დაწერა რამდენიმე წიგნი და მრავალი სტატია სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს, ერის ფორმირების, ნაციონალიზმის, ეროვნული იდენტობისა და პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის შესახებ აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით უკრაინაში. მისი ბოლო წიგნებია: „აღმოსავლეთ ევროპა 1989 წლიდან: მოშვებულ ავტორიტარიზმს და არაკონსოლიდირებულ დემოკრატიას შორის“ (ვარშავა, 2020) და „მეტერნიხის ბაღის ღობეზე - ესეები ევროპის, უკრაინისა და ევროპეიზაციის შესახებ.“(შტუტგარტი, 2021).

ივონა რეიხარდი არის პოლონელი პოლიტოლოგი, ჟურნალ „აღმოსავლეთ ევროპის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტის ლექტორი.

ბარტოშ სადულსკი არის პოლონელი მწერალი და რედაქტორი, ავტორი რომანის „Rzeszot“, რისთვისაც მიღებული აქვს კოსიელსკის პრემია, ნომინირებულია კონრადის პრემიაზე და ლიტერატურულ პრემიაზე “Nike”. ლიტერატურული პრიზები აქვს მიღებული ასევე პოეზიის სამ ტომში. არის კვარტალური გამოცემა „ჰერიტოს“ სარედაქციო კოლეგიის მდივანი. ცხოვრობს კრაკოვში.

ვოლოდიმირ შეიკო, უკრაინის ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, კულტურის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და კომუნიკაციების სპეციალისტია. მას ეკავა მაღალი რანგის თანამდებობები ბრიტანეთის საბჭოს უკრაინის მისიაში, მისი ორგანიზებით მოეწყო მრავალი კულტურული პროექტი და ღონისძიება დიდ ბრიტანეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. დაამთავრა კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. მას აქვს მარკეტინგისა და ციფრული მარკეტინგის დიპლომები მარკეტინგის ინსტიტუტიდან Chartered Institute of Marketing (დიდი ბრიტანეთი). დაამთავრა შოტლანდიის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლა (SUISS) თანამედროვე ბრიტანული და ირლანდიური ლიტერატურის მიმართულებით ედიბურგში, შოტლანდიაში.

ჟანნა სლონიოვსკა არის უკრაინელი წარმოშობის პოლონელი რომანისტი, მთარგმნელი და პიესებისა და საბავშვო წიგნების ავტორი. მას მიენიჭა ზნაკის ლიტერატურული პრემია რომანისთვის "სახლი ვიტრაჟით" 2015 წელს და კონრადის პრემია საუკეთესო პოლონური ლიტერატურული დებიუტისთვის 2016 წელს. რომანი ასევე მოხვდა Nike-ის პრემიის მოკლე სიაში 2016 წელს და ითარგმნა 9 ენაზე.

ვოდძიმიეჟ სულეია არის პოლონელი ისტორიკოსი, რომელიც სპეციალიზებულია მე-19-20 საუკუნეების პოლიტიკურ ისტორიაში, პოლონეთის ისტორიასა და მე-19-20 საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში. იგი იყო ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. მან დაწერა რამდენიმე წიგნი ისტორიის შესახებ, მათ შორის, ქართულ ენაზე თარგმნილი მონოგრაფია იოზეფ პილსუდსკის შესახებ.

ლაურინას ვაიჩუნასი არის ვროცლავის იან ნოვაკ-იეზიორანსკის კოლეჯის (KEW) დირექტორი. ეს არის დაწესებულება, რომელიც სპეციალიზირებულია კულტურულ დიპლომატიაში და ხელს უწყობს თანამშრომლობას აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ხელოვანებს, ავტორებს, კურატორებსა და ექსპერტებს შორის. ის არის ორი თემატური ჟურნალის - Nowa Europa Wschodnia და ახალი აღმოსავლეთ ევროპის მთავარი რედაქტორი. მისი ხელმძღვანელობით გამომცემლობა KEW-მა გამოსცა ასზე მეტი წიგნი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ავტორების მონაწილეობით.

ბრენდან ჯექსონი არის მწერალი, ფოტოგრაფი და კურატორი, კრეატიულ ინდუსტრიებში მუშაობის 25 წელზე დიდი გამოცდილებით. მან არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი მოამზადა მუზეუმებისა და მემკვიდრეობის სექტორში დიდ ბრიტანეთში, პოლონეთსა და საქართველოში. იგი აერთიანებს სხვადასხვა ხმებს, გამოცდილებასა და პერსპექტივებს ბექდური, ვებ, საზოგადოებრივი ღონისძიებებისა და ინსტალაციების საშუალებით.

SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტი

თავისუფალი უნივერსიტეტი უპირობო ლიდერია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ჩვენ გამოვირჩევით უმაღლესი ხარისხის სწავლებით, თანამედროვე სასწავლო გარემოთი, სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით. თავისუფალი უნივერსიტეტი ორიენტირებულია პრაქტიკით გამყარებულ უმაღლესი დონის თეორიულ ცოდნაზე, რაც შრომის ბაზარზე უპირატესობის გარანტიაა.

კონფუცის ინსტიტუტი თავისუფალ უნივერსიტეტში 2010 წელს დაარსდა კახა ბენდუქიძის მხარდაჭერით. კონფუცის ინსტიტუტი, როგორც ჩინური ენისა და კულტურის ცენტრი, ხელს უწყობს ქართული საზოგადოების მიერ ჩინეთის უკეთ შეცნობას, ასევე მსურველებს აძლევს ჩინური ენის სწავლისა და შემდგომ ჩინეთში სტაჟირების საშუალებას. ინსტიტუტის პარტნიორია ქენგჭოუს უნივერსიტეტი, სარგებლობს ჩინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

ჩინური ენის კურსები

თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტი ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე აცხადებს მსმენელთა მიღებას ზოგადი ჩინური ენისა და სასაუბრო ჩინური ენის კურსებზე. წარმატებულ სტუდენტებს კი ჩინეთში უფასო სტაჟირებისა და საზაფხულო სკოლაში გამგზავრების საშუალება ეძლევათ. ზოგადი ჩინური ენის კურსის თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას, კვირაში 6 საათი (კვირაში 2 დღე, 3 სთ/დღე). აქ ასწავლიან ქართველი და ჩინელი კვალიფიციური ლექტორები.

კონფუცის ინსტიტუტის ორგანიზებით, თბილისის სკოლებში ისწავლება ჩინური ენა და ტარდება კულტურული ღონისძიებები.

თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის ქართველი დირექტორი

თავისუფალი უნივერსიტეტის კონ-ფუცის ინსტიტუტის დირექტორი, თავისუფალი უნივერსიტეტის პრო-ფესორი, ქართველი ჩინეთმცოდნე მეცნიერი, მარინე ჯიბლაძე, დაინიშ-ნა პეკინის ენების უნივერსიტეტის მიწვეულ პროფესორად, ჩინეთის მედიისა და კომუნიკაციების უნივე-რსიტეტის სამეცნიერო ხელმძღვა-ნელად.

იგი ხშირად მონაწილეობს საერთა-შორისო კონფერენციებში და სხვა-დასხვა ღონისძიებაში სინოლო-გიის მიმართულებით. 2018 წელს მარინე ჯიბლაძე მიიწვიეს ჟენევა-ში გაეროს ჩინური ენის დღის ღო-ნისძიებაზე, სადაც მან ჩაატარა ლექცია-პრეზენტაცია. იგი მუშაობ-და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩინუ-რი ენის ექსპერტად, სადაც შეიმუ-შავა ჩინური ენის ეროვნული სას-წავლო გეგმა. სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად შეიმუშა-ვა და გამოსცა ჩინურ მარცვალთა ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციის წესები. მარინე ჯიბლაძე არაერთ-ხელ იყო მიწვეული ჩინეთში საერ-თაშორისო სტუდენტური კონკურსე-ბის ფინალურ ტურზე ჟიურის წევ-რად.

ჩინური ენის საერთაშორისო გამოცდები და ღონისძიებები

თავისუფალი უნივერსიტეტის კონ-ფუცის ინსტიტუტში ფუნქციონირებს HSK-ის, HSKK-ისა და YCT-ის საგა-მოცდო ცენტრი, სადაც ნებისმიერ მსურველს, შეუძლია ჩინური ენის დონის გამოცდის ჩაბარება და სა-ერთაშორისო აღიარების სერტიფი-კატის მიღება.

ინსტიტუტი ყოველწლიურად სხვადა-სხვა სახის კულტურულ ღონისძი-ებას სთავაზობს ჩინური ენითა და ჩინეთით დაინტერესებულ ადამია-ნებს.

ახალი სერია

დიოგენი NONFICTION

არამხატვრული ლიტერატურის
რჩეული ტექსტები

სიახლე

სიახლე

სიახლე



ბესტსელერი





გაეცანი სერიას

diogenepublishers

www.diogene.ge

აფაქიძის 9, II სართ.
(სპორტის სასახლესთან)

221 33 21
577 53 81 87

„დიოგენეს“ ბესტსელერები

ისარგებლე საფესტივალო ფასდაკლებით

დაათვალიერე წიგნები

diogenepublishers

www.diogene.ge

აფაქიძის 9, II სართ.
(სპორტის სასახლესთან)

221 33 21
577 53 81 87

პალიტრა L

გამომცემლობა პალიტრა L-ის საფესტივალო სიახლეები







წიგნების შესაძენად გვეწვიეთ Expo Georgia-ს მე-6 და მე-11 პავილიონებში ან ვებგვერდზე: www.palitral.ge

ფეხი

9,95

8,00

12,50

23,00

11,50

17,00

ბიბლუსი

საქართველოში წიგნების მაღაზიის ყველაზე ფართო ქსელია, რომლის მიზანია წიგნი გახადოს ხელმისაწვდომი ყველასთვის.

უკვე **15 წელია** „ბიბლუსი“ ხელს უწყობს წიგნიერების განვითარებას, „ბიბლუსს“ დიდი წვლილი მიუძღვის წიგნის კითხვის პოპულარიზაციაში რაც ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებაში განათლების დონის ამაღლებისა და ქვეყნის განვითარებისთვის.

"ბიბლუსის" წარმატების საიდუმლო მომხმარებელზე ზრუნვაშია. „ბიბლუსში“ **წიგნებთან** ერთად წარმოდგენილია **სასკოლო-საკანცელარიო** ნივთების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, **ელექტრო აქსესუარები, დეკორი, საახალწლო აქსესუარები, სათამაშოები, წიგნისა და ელექტრო აქსესუარები.**

კომპანიის არსებობის **15 წლის** მანძილზე, „ბიბლუსმა“ შეძლო შეექმნა საქართველოში საგამომცემლო პროდუქტების ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და სარგებლობს მრავალრიცხოვანი მომხმარებლის ნდობით. დღეისათვის, ბიბლუსი აერთიანებს **80-მდე ფილიალს** მთელი ქვეყნის მასშტაბით. „ბიბლუსი“ არის ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელი.

“ბიბლუსი ჯგუფი” საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი რითეილერია წიგნების მაღაზიათა ქსელის - **„ბიბლუსის“** გარდა აერთიანებს სათამაშოების მაღაზიებს - **„პეპელას“** და **„XS Toys“**-ს, მულტიფუნქციურ სავაჭრო სივრცეების ქსელს - „მულტის“ და კაფეების ქსელს - „პიატოს“. ჯგუფი ჯამში საქართველოში 125 სავაჭრო სივრცეს ფლობს.

2022 წლის დეკემბერში „ბიბლუსი ჯგუფმა“ სათამაშოების ქსელის “XS Toys” მაღაზია სლოვენიაში, ქალაქ ცელიეში გახსნა, რაც „ბიბლუსი ჯგუფის“ ქსელის გლობალური განვითარების სტრატეგიის პირველი წარმატებული ნაბიჯია. სამომავლოდ ჯგუფი ევროპულ ბაზარზე აქტიურ განვითარებას გეგმავს.

წიგნი ყველა თაობისთვის

25-28 მაისი

#არტანუჯიფესტივალზე



WWW.ARTANUJI.GE • გამომცემლობა არტანუჯი • ARTANUJI PUBLISHING

WWW.ARTANUJI.GE • გამომცემლობა არტანუჯი • ARTANUJI PUBLISHING

თბილისის წიგნის 25-ე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეები

გამომცემლობა „აგორა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ეკატერინე ჩაჩხიანი, მარინა ბალავაძე
უფლებების მენეჯერი: მარინა ბალავაძე, ეკატერინე ჩაჩხიანი
მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქ. №2/147 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 555541900
ელ. ფოსტა: contact@agorabooks.ge
ვებგვერდი: http://agorabooks.ge

გამომცემლობა „აგორა“ დაარსდა 2006 წელს. მას შემდეგ აგორას 200-მდე წიგნი აქვს გამოცემული. მისი ძირითადი პრიორიტეტია ქართულად თარგმნილი უცხოენოვანი ლიტერატურა – მხატვრული ნაწარმოებები, ფილოსოფიური, სოციოლოგიური ხასიათის ესეები, დოკუმენტური პროზა, საბავშვო ლიტერატურა; გამომცემლობა „აგორას“ დირექტორს, მარინა ბალავაძეს საფრანგეთის მთავრობამ 2021 წელს „აკადემიური პალმის რტოს ორდენის“ ოფიცრის წოდება მიანიჭა.

„აზროვნების აკადემიის გამომცემლობა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, საბავშვო ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: თეონა გურგენიძე, დაჩი ფაჩულია
უფლებების მენეჯერი: თამარ ჭოველიძე
მისამართი: თ. იოსებიძის №57
ტელეფონი: 0322 15 15 40
ელ.ფოსტა: info@academybooks.ge
ვებგვერდი: https://azrakibooks.ge/

აზროვნების აკადემიის გამომცემლობამ მოღვაწეობა 2021 წელს დაიწყო. ამჟამად ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა, რომ გაეცნოს 30 ქართულენოვან წიგნს, რომელიც აზროვნების აკადემიამ გამოსცა. გამოცემულ წიგნებს შორის გვხვდება აზროვნების აკადემიის ლექტორების საავტორო კრებულები, სხვადასხვა ავტორთა სტატიებისგან შედგენილი წიგნები, ორიგინალი ენებიდან შესრულებული თარგმანები და ახლიდან გამოცემული მივიწყებული ქართული ლიტერატურის ნიმუშები. გამომცემლობის პრიორიტეტული მიმართულებები გახლავთ: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, საბავშვო ლიტერატურა, პედაგოგიკა, მხატვრული ლიტერატურა, რიტორიკა და თეოლოგია.

სტარტაპი „აი“

საკონტაქტო პირი: მაგდა ლომაშვილი
ტელეფონი: 568282888
ელ. ფოსტა: Daaiisic@gmail.com

სტარტაპი “აი” 2022 წელს იმ იდეით დაიბადა, რომ უფროსებს გულწრფელი საჩუქრების მნიშვნელობა შეახსენოს.
“აი” ქმნის ემოციურ საჩუქრებს – წიგნებს საყვარელი ადამიანებისთვის. თითოეულ წიგნი ილუსტრირებულია და შიგნით ფრაზები და წინადადებებია, რომლებშიც გამოტოვებული საკვანძო სიტყვები თავად უნდა შეავსო, ასევე უნდა ჩააკრა ფოტოები და დაუწერო სურვილები საყვარელ ადამიანს. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ ხდება წიგნი პერსონალიზებული და ინდივიდუალური საჩუქარი.
წიგნები სერიული ხასიათისაა და ბავშვობაში დაწერილი წერილების კონცეფცია აქვს. ამ დროისათვის “აი”-ს ბიბლიოთეკაში 4 წიგნია – “დე, მე შენზე წიგნი დავწერე”, “მა, მე შენზე წიგნი დავწერე”, “მეგობარო, მე შენზე წიგნი დავწერე” და “დე, მე შენზე წიგნი დავწერე” (საბავშვო/მინი ვერსია).

გამომცემლობა „ალეფი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ბექა სამუკაშვილი
მისამართი: ი. ხვიჩიას №5; თბილისი
ტელეფონი: +995 571301252
ელ. ფოსტა: aleph.publishing@gmail.com

გამომცემლობა „ალეფი“ დაარსდა 2013 წელს. ძირითადად გამოსცემს უცხო ენებიდან თარგმნილ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას.

გამომცემლობა „ალონი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მწერლის და ფილოსოფოსის, გივი მარგველაშვილის ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. გამოუქვეყნებელი დოკუმენტური პროზის გამოცემა. მწერლის და მთარგმნელის, ნაირა გელაშვილის ნაწარმოებების კვლავ გამოცემა და ახალი თარგმანებისა და წიგნების წახალისება. ქართულ-გერმანული კულტურული თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტური კვლევებისა და ლიტერატურის გამოცემა. ისტორიული და სამოგზაურო ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა.
საკონტაქტო პირი: ანა მარგველაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, გალაკტიონ ტაბიძის №20.
ტელეფონი: 577520152
ელ.ფოსტა: alonipublishing@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/alonipublishing

„ალიონი“ საოჯახო გამომცემლობაა. მისი უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს მწერლისა და ფილოსოფოსის, გივი მარგველაშვილის ლიტერატურის თარგმნასა და ქართულ ენაზე გამოცემას; მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, ნაირა გელაშვილის შემოქმედების გამოცემას და ახალი თარგმანების წახალისებას. „ალონის“ მიზანია ასევე, გამოსცეს XIX-XX საუკუნეების ისტორიული და სამოგზაურო ლიტერატურა; გამომცემლობა განსაკუთრებულ ყურადღებას გერმანულენოვანი მოგზაურების ჩანაწერების თარგმანსა და ზოგადად, ქართულ-გერმანული ურთიერთობების შესახებ დოკუმენტური პროზის გამოცემას დაუთმობს.

ამონაშვილის საგამომცემლო სახლი

საგამომცემლო პრიორიტეტი: ბავშვთა ფსიქოლოგია, ბავშვის აღზრდა, საბავშვო-სათავგადასავლო რომანები, ფსიქოლოგიური რომანები, ლიტერატურა ორსულთათვის
საკონტაქტო პირი: მარიამ დავითინიძე
უფლებების მენეჯერი: ნინო ამონაშვილი
მისამართი: ჯურხა ნადირაძის №1
ტელეფონი: 577202272; 571506051
ელფოსტა: publishing@amonashvili.ge; mdavitinidze@yahoo.com
ვებგვერდი: https://www.amonashvili.ge/

ამონაშვილის საგამომცემლო სახლი საქართველოს ბაზარზე 2019 წლიდან ფუნქციონირებს. გამომცემლობის ძირითადი საქმიანობაა შალვა და პაატა ამონაშვილების მიერ შექმნილი „ჰუმანური პედაგოგიკის“ პრინციპების პოპულარიზაცია, მათი ნაშრომების მიწოდება ქართული აუდიტორიისთვის (მშობლები, პედაგოგები, ბავშვები) და საინტერესო ლიტერატურული ფორმით ბავშვისადმი ფსიქოლოგიური მიდგომების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.
ჩვენი მთავარი ავტორი – შალვა ამონაშვილი გამოირჩევა რთული სიბრძნეების მარტად გადმოცემით, მისი წიგნები სავსეა სითბოთი და ბავშვებისადმი სიყვარულით. ამონაშვილის საგამომცემლო სახლის მთავარი მიზანია, ეს სიბრძნე, სითბო და სიყვარული შევიტანოთ ყველა ქართულ ოჯახში.

გამომცემლობა „არეტე“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული და დოკუმენტური პროზა
საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №25, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 25-02-55
ელ. ფოსტა: Gdarsalia@gmail.com

გამომცემლობა „არეტე“ დაარსდა 2003 წელს. მას შემდეგ არეტეს 50-ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის მხატვრული, საბავშვო და სამეცნიერო ლიტერატურა. ამჟამად „არეტეს“ საგამომცემლო პრიორიტეტებია: ოთარ ჭილაძის ნაწარმოებების სრული კრებული; მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის თარგმანები სერიით „აუცილებელი საკითხავი“; ჯორჯ მარტინის ეპოპეა „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“.

გამომცემლობა „არიკი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მეგრული ფოლკლორული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გამოცემა, თარგმნა
საკონტაქტო პირი: მარიამ მორგოშია 599044121
უფლებების მენეჯერი: მარგო ლუჩკო
მისამართი: ცოტნე დადიანის #7, სავაჭრო ცენტრი ქარვასლა
ტელეფონი: 599 46 80 01, 596 33 11 00
ელ. ფოსტა: info@ariki.ge , info@skhivigroup.ge

„არიკი“ დაარსდა 2022 წელს და ემსახურება მეგრული ენის, კულტურისა და ფოლკლორის პოპულარიზაციას. ჩვენი მიზანია, თაობები, რომლებმაც უკვე იციან მეგრული ენისა და ზეპირსიტყვიერების ფასდაუდებლობის შესახებ, ამაყობდნენ იმით, რა ენაზეც საუბრობენ, ხოლო ახალგაზრდები იცნობდნენ და პატივს სცემდნენ მეგრულ ენას. „არიკი“ აქტიურად აორგანიზებს და ერთვება სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც მეგრული ჯადოსნური ზღაპრები მუდმივად იქცევს ყურადღებასა და დაინტერესებას. „არიკი“-ს პროექტია წიგნების სერია „ჩემი მეგრული ჯადოსნური ზღაპრები“, რომელშიც გაერთიანებულია სულ 10 საზოგადოებისთვის უცნობი ზღაპარი. „არიკმა“ ყურადღება მალევე მიიქცია წიგნებისა და პრომო მასალების განსაკუთრებული ხარისხით. ჩვენი ლიტერატურა ემსახურება, როგორც ისტორიის და კულტურის შემონახვას და თაობიდან თაობამდე მის გადაცემას, ასევე ჩვენი ერთგული მკითხველების ბიბლიოთეკის გალამაზებას.

გამომცემლობა „არტანუჯი“

საკონტაქტო პირი: ზვიად კვარაცხელია, ლიკა ჭალაგანიძე
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №5; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 25-05-22
ელ.ფოსტა: info@artanuji.ge; zviad. kvaratskhelia@gmail.com
ვებგვერდი: http://artanuji.ge/

გამომცემლობა „არტანუჯი“ 2000 წელს ამავე სახელწოდების საისტორიო ჟურნალის ბაზაზე დაარსდა. ვამაყობთ, რომ ოც წელზე მეტია ჩვენი გამომცემლობა საისტორიო სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურასთან და სასკოლო სახელმძღვანელოებთან ასოცირდება. ჩვენს ერთგულ მკითხველებში მოწონებით სარგებლობს „არტანუჯის“ მიერ გამოცემული მსოფლიო ბესტსელერების მაღალმხატვრული თარგმანები, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა, ალბომები თუ ტურისტული გზამკვლევები, ლექსიკონები, ქართული პროზა და პოეზია. ჩვენს ახალ მიმართულებაში – სერიაში „არტანუჯი ბავშვებისთვის“ პატარა მკითხველი ქართული კლასიკური ლიტერატურის გრაფიკულ ვერსიებსაც შეხვდება, „ზღაპრულ ზღაპრებსაც“ და მითებსაც.

გამომცემლობა „აქტი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფიური ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: გიზო ცაცუა
მისამართი: რუსთაველის გამზირი №18; თბილისი
ტელეფონი: 591922123
ელ. ფოსტა: akti.publishing@gmail.com
ვებგვერდი: http://akti.ge/

გამომცემლობა „აქტი“ დაარსდა 2019 წელს. გამომცემლობის მიზანია ხელი შეუწყოს ფილოსოფიური, მეცნიერული აზროვნების განვითარებას. გამომცემლობა ძირითადად მუშაობს ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, თეოსოფიური და თეოლოგიური წიგნების გამოცემაზე. გამომცემლობას უკვე გამოცემული აქვს 60-ზე მეტი წიგნი. გამომცემლობის მიერ გამოცემულია ცნობილი გერმანელი, ებრაელი, რუსი, დანიელი, ინდოელი, ინგლისელი და ქართველი ფილოსოფოსების წიგნები.

გამომცემლობა „ბაკმი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ქართული პროზა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები
საკონტაქტო პირი: რუსუდან მოსიძე
მისამართი: დიღმის მასივი, რობაქიძის გამზირი №7, თბილისი
ტელეფონი: +995 322 72 54 99; +995 597 75 65 35
ელ. ფოსტა: bakmipublishing@gmail.com
ვებგვერდი: http://bakmi.ge/

გამომცემლობა „ბაკმი“ შეიქმნა 2000 წელს. ამ ხნის განმავლობაში გამომცემლობამ განახორციელა არაერთი საინტერესო ლიტერატურული პროექტი. ბოლო სამი წელია „ბაკმი“ წარმატებით გამოსცემს ქართულ რარიტეტულ წიგნებს. კერძოდ: „წმინდაი ოთხთავი“, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, ომარ ხაიამი „რობაიები“ და სხვ. ძირითადი საგამომცემლო მიმართულებებია: ქართული პროზა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები.

„ბარტყი ბუს წიგნები“

პრიორიტეტები: სკოლამდელი ასაკის ბავშვების განსავითარებელი წიგნი-სათამაშოები.
საკონტაქტო პირი: სოფიკო კიკნაველიძე
ტელეფონი: 599-449893 ; 591-113901
ელ-ფოსტა: babyowlbooks@gmail.com
ვებ გვერდი: https://www.facebook.com/Baby-Owl-Books-ბარტყი-ბუს-წიგნები-102574129086792/

„ბარტყი ბუს წიგნები“ ქართული კომპანიაა, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ქმნის განსავითარებელ წიგნ-სათამაშოებს. ჩვენი წიგნების მეშვეობით ბავშვებს უვითარდებათ წვრილი მოტორიკა, სენსორული და აზროვნების უნარები, სწავლობენ ფერებს, ფორმებს, შეკვრას, გახსნას, მოხსნას, დამაგრებას, ავითარებენ ლოგიკას, სწავლობენ მარტივი დავალებების შესრულებას, დაბრკოლებების გადალახვას, ავითარებენ ფანტაზიას.
ჩვენი წიგნები იყოფა ასაკობრივ კატეგორიებად: 0+, 1+, 2+, 3+. ასევე ჩვენი წიგნები გათვალისწინებულია განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პატარებისთვის. წიგნები ფერადი, ლამაზი, საინტერესო და ორიგინალურია. ჩვენი წიგნები დამზადებულია თექისგან. თექა ეკოლოგიურად სუფთა ქსოვილია, რომელიც თავისი კაშკაშა ფერებით ძალიან მოსწონთ ბავშვებს. თექა დიდხანს ინარჩუნებს თავის ფორმას, მდგრადი და ადვილად მოსავლელია.
„ბარტყი ბუს წიგნები“ ბავშვებს აბედნიერებს.

წიგნის მაღაზია „ბიბლუსი“

საკონტაქტო პირი: ანი ასათიანი
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელეფონი: +995 555445444
ელ. ფოსტა: marketing@biblusi.ge
ვებგვერდი: http://www.biblusi.ge/

წიგნების მაღაზიათა ქსელმა „ბიბლუსი“, არსებობის 14 წლის განმავლობაში, შეძლო შეექმნა საქართველოში საგამომცემლო პროდუქტების ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და სარგებლობს მრავალრიცხოვანი მომხმარებლის დამსახურებული ნდობით. აღსანიშნავია, რომ „ბიბლუსში“ წიგნებთან ერთად წარმოდგენილია სასკოლო-საკანცელარიო ნივთების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, ხელსაქმის მასალები, სათამაშოები, წიგნისა და ელ. აქსესუარები.
დღეისათვის ბიბლუსი აერთიანებს 74 ფილიალს მთელი ქვეყნის მასშტაბით.
„ბიბლუსის“ მიზანია წიგნი გახადოს ხელმისაწვდომი საქართველოს ყველა კუთხეში და ხელი შეუწყოს ქვეყანაში წიგნიერების დონის ამაღლებას.

გამომცემლობა „ბიზნესლიტერატურა“ – HARVARD BUSINESS REVIEW GEORGIA

საგამომცემლო პრიორიტეტი: ბიზნესლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ნათია ლურსმანაშვილი
მისამართი: ა. პოლიტკოვსკაიას №3, ბლოკი 6, სართული 1
ტელეფონი: +995 599 14 77 08 ე
ელ.ფოსტა: nalurs@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/hbrgeorgia

გამომცემლობა „ბიზნესლიტერატურა“ 2017 წლიდან გამოსცემს “Harvard Business Review Press”-ის ბიზნესლიტერატურას ქართულ ენაზე. გამომცემლობის მიზანია მკითხველს ქართულ ენაზე მიაწოდოს წამყვანი სპეციალისტების მიერ შექმნილი ლიტერატურა, რაც თანამედროვე ბიზნესგარემოს განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

„ბუერა“ – ხელნაკეთი აქსესუარები

საკონტაქტო პირი: დოდო ბაკურაძე
ტელეფონი: 551 70 66 00
ელ. ფოსტა: Buerahandmade@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/ BueraHandmadeAccessories

ბუერა არის ხელით შექმნილი სამკაულები ვერცხლისა და ბუნების საჩუქრების: მცენარეების და ყვავილების გამოყენებით. ბრენდის ისტორია 2012 წელს იწყება, მისი სულისჩამდგმელი თეონა ბაკურაძეა, დღეს კი ამ ჯადოსნურ საქმიანობას მისი და, დოდო აგრძელებს, მეგობრების დახმარებით. ყველა სამკაული იქმნება ხელით, სიყვარულით და ტყეებიდან, მინდვრებიდან, მთიდან და ბარიდან, ლაშქრობებიდან და სეირნობებიდან ჩვენ მიერ სათუთად შეგროვებული და გამშრალი მცენარეებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ნამუშევარი იყოს სიხარულის მომტანი და უნიკალური. ონლაინ (Instagram/facebook: #buerahandmade; buerahandmade@gmail.com), ქუჩის მარკეტები (STALL), რამდენიმე გემოვნებიანი მაღაზია თბილისში და წიგნის ფესტივალი ის ადგილებია, სადაც ბუერას პოვნას შეძლებთ.

„ბუქმანია“ – წიგნების ონლაინმაღაზია და სადისტრიბუციო კომპანია

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული, შემეცნებითი, სასწავლო და საბავშვო ლიტერატურა.
საკონტაქტო პირი: მარინე ცხადაია
უფლებების მენეჯერი: ანა კვინიკაძე
მისამართი: ედიშერ მაღალაშვილის ქ. N5, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 592 12 08 15; +995 597 02 90 34
ელ. ფოსტა: bookmaniadistribution@gmail.com
ვებგვერდი: https://bookmania.ge/

წიგნების სადისტრიბუციო კომპანია „ბუქმანია – Bookmania“ 2017 წლიდან უზრუნველყოფს წიგნების დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით. ამ ეტაპზე, კომპანიის საიტზე შეხვდებით შემდეგი გამომცემლობის წიგნებს: „პეგასი“ და „საქართველოს მაცნე“. „ბუქმანია“ ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მკითხველს აძლევს საშუალებას, სახლიდან გაუსვლელად აარჩიოს თავისთვის სასურველი წიგნები და მიიღოს ისინი უმოკლეს ვადაში. „ბუქმანია“ მკითხველებს წიგნებს საგამომცემლო ფასად სთავაზობს. საცალო გაყიდვებს ემსახურება კომპანიის ოფისი: მისამართი: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5.

წიგნის მაღაზია – „ბუქმარკი – წიგნები ვაკეში“

საგამომცემლო პრიორიტეტი: სამხატვრო ალბომები, არქიტექტურა, დიზაინი, ფოტოგრაფია, მოდა, ენციკლოპედიები, მხატვრული, სამეცნიერო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული ლიტერატურა, ლექსიკონები
საკონტაქტო პირი: დავით ჯვარშეიშვილი
უფლებების მენეჯერი: დავით ჯვარშეიშვილი
მისამართი: არაყიშვილის ქ. №5 ქ. თბილისი საქართველო 0179
ტელეფონი: 0322 989 266; +995 595 563383
ელ. ფოსტა: davidjvarsheishvili@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/bookmarkbooksinvake

„ბუქმარკი – წიგნები ვაკეში“ – ყველა საჭირო წიგნი ერთ მაღაზიაში. წიგნის მაღაზია, სადაც წარმოდგენილია ცნობილი გამომცემლობების ილუსტრირებული ალბომები: მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, მოდა, კინო და ფოტოხელოვნება, ასევე ევროპული ხარისხის სამხატვრო და საკანცელარიო პროდუქცია. ფართო არჩევანია ქართული, ინგლისური, გერმანული და რუსული გამომცემლობების მხატვრული, სამეცნიერო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული ლიტერატურის, ენციკლოპედიების და ლექსიკონების მხრივ.

„გოგორა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: Open-ended play პრინციპებსა და ქართულ ეთნოგრაფიულ თემატიკაზე დაფუძნებული მრავალფუნქციური და განმავითარებელი ხის სათამაშოებისა და მონტესორის საბავშვო ავეჯის წარმოება.
საკონტაქტო პირი: ნინო რაზმაძე
მისამართი: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუნდაური, აჭარა; „აშენდი“ – ნ. ხოშარაულის ქ. №29, თბილისი.
ტელეფონი: 599417076
ელ. ფოსტა: gogoratoys@gmail.com
ვებგვერდი: www.gogoratoys.com

კომპანია გოგორა 2021 წელს დაარსდა. ჩვენი ღირებულებითი სისტემა ჰუმანიზმის, ინტელექტუალური სიღრმის, ხარისხის შეგრძნებისა და გარემოზე ორიენტაციის პრინციპებს ეფუძნება. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ბავშვებისთვის ჯანსაღი, უსაფრთხო და განმავითარებელი გარემოს შექმნას და ამ პროცესში ძველი, ნაცადი იდეები და თანამედროვე მიდგომები გამოვიყენოთ. ჩვენი პროდუქტები ინსპირირებული და თავსებადია მონტესორის, პიკლერის, ვალდორფის ბავშვთა აღზრდის ჰუმანისტურ მეთოდებთან. გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და „აწარმოე საქართველოში“-ს მხარდაჭერით ჩვენ შევძელით აჭარის მთიანეთსა და თბილისში ევროსტანდარტების შესაბამისი, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკუთარი წარმოების შექმნა.

გამომცემლობა „დიოგენე“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული, არამხატვრული და სასკოლო ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: მეგი რუსია
უფლებების მენეჯერი: თინათინ პეტრიაშვილი
მისამართი: ა. აფაქიძის ქ. 9, II სართული, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 0322 21 33 21
ელ.ფოსტა: adm@diogene.ge; sales@diogene.ge
ვებგვერდი: diogene.ge

გამომცემლობა „დიოგენე“ 1995 წელს დაარსდა და არსებობის 27-წლიან ისტორიაში ასობით წიგნი გამოსცა. მათ შორის ყველაზე მეტია მხატვრული ლიტერატურა, რომელიც უმეტესწილად მოიცავს ახალ თარგმანებსა და ასევე, ქართველი ავტორების გამოცემებს. „დიოგენესთან“ აღმოაჩენთ არამხატვრული ლიტერატურის რჩეულ ნიმუშებს, სასკოლო, გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, საბავშვო ლიტერატურას.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საგამომცემლო პრიორიტეტი: სამეცნიერო, პოლიტიკური, ეკონომიკური ლიტერატურის თარგმნა/გამოცემა
საკონტაქტო პირი: ზაზა შენგელია
უფლებების მენეჯერი: ნინო ევგენიძე
მისამართი: ზაქარია ფალიაშვილის ქ. 85, თბილისი 0162
ტელეფონი: +995 32 2 207 305
ელ.ფოსტა: info@eprc.ge
ვებგვერდი: www.eprc.ge

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკის განვითარებას. ორგანიზაცია 2002 წელს დაარსდა. დღეს ის ინფორმაციის სანდო წყაროს წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, ანალიტიკოსებისა და მედიისთვის. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრში გვჯერა, რომ დემოკრატია და ეროვნული უსაფრთხოება ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვთარგმნით და გამოვცემთ მსოფლიოს წამყვანი მოაზროვნეების, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერების ნაშრომებს, რომლებიც საზოგადოებაში პოლიტიკური დისკურსის და ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს განსაზღვრავენ.

„ელფის“ გამომცემლობა

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: თინათინ დიდებულიძე
უფლებების მენეჯერი: ლეილა კირთაძე
მისამართი: კარტოზიას ქ. N8. კორპუსი N9, მე-2 სართული; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 92 35 70; +995 599 36 53 73
ელ. ფოსტა: office@elf.ge; adm@elf.ge
ვებგვერდი: http://elf.ge/

„ელფის“ გამომცემლობა 1996 წლის მარტში დაარსდა. მისი დამფუძნებელი პროფესიით ჟურნალისტი და მთარგმნელი თინათინ დიდებულიძე გახლავთ. „ელფის“ გამომცემლობა თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ და უმსხვილეს გამომცემლობებთან, ასევე ყოველწლიურად წარმოდგენილია ფრანკფურტის (გერმანია) წიგნის და ბოლონიის (იტალია) საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე. დღეს „ელფის“ გამომცემლობა ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობაა საქართველოში. საგამომცემლო პრიორიტეტებია: მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო.

GT წიგნების მაღაზია „ერუდიტი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა. საკონტაქტო პირი: ლარისა ტადტაევი
ტელეფონი: +995 593 55 88 52
მისამართი: ნუცუბიძის ქ. №16; თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: imedi50@rambler.ru
ვებ გვერდი: https://www.facebook.com/BookShopErudite

კომპანია თანამშრომლობს 30-ზე მეტ წამყვან რუსულ გამომცემლობასთან. მაღაზიაში ძირითადად წარმოდგენილია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა. ასევე აქვს მხატვრული ლიტერატურის დიდი არჩევანი. იღებს წინასწარ შეკვეთებს ნებისმიერი თემატიკის ლიტერატურაზე.

გამომცემლობა „ზებრა“

პრიორიტეტები: ქართული და უცხოური საბავშვო გამოცემები, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: მარიამ კასრაძე
მისამართი: ლესია უკრაინკას 3, 0108 თბილისი
ტელეფონი: 599005505
ელ.ფოსტა: mariam@zebra-group.ge
ვებგვერდი: www.zebra-group.ge

საბავშვო გამომცემლობა „ზებრა“ დაარსდა 2007 წელს. პოპულარული და საინტერესო გამოცემებით ის ზრუნავს პატარების განვითარებისთვის და უპირველეს მიზნად ისახავს, კითხვა შეაყვაროს ბავშვებს. ჩვენი გამოცემების ასაკობრივი კატეგორია ჩვილობიდან თინეიჯერობამდე ვრცელდება. „ზებრას“ ბიბლიოთეკა მდიდარია ქართული და უცხოური ზღაპრებით, ლექსიკონებით, გასაფერადებლებით, გონების სავარჯიშოებითა და აქტივობების წიგნებით, სათავგადასავლო და სხვა შემეცნებითი ლიტერატურით. 2022 წელს, „სტუდია ველოსიპედთან“ თანამშრომლობით „ზებრამ“ გამოსცა პირველკლასელთათვის განკუთვნილი სავარჯიშოთა სერიის პირველი ორი კრებული, რომელთა მთავარი პერსონაჟი ბავშვების საყვარელი ჟირაფი ჟოზეა. „ზებრამ“ ასევე შექმნა თავსატეხები და თამაშები, რომლებიც პატარებს უვითარებს ყურადღებას, ლოგიკურ აზროვნებას, ნატიფ მოტორიკას, წარმოსახვისა და სხვა უნარებს.

„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: იურიდიული პროფილის – სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, ნათარგმნი და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემა
საკონტაქტო პირი: გული გრიგალაშვილი
მისამართი: თბილისი, ვ. გორგასლის 19.
ტელეფონი: (+995) 598424767
ელ. ფოსტა: office@zkpublishing.ge
ვებგვერდი: https://zkpublishing.ge/

„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“ დაფუძნდა 2014 წელს და ის უზრუნველყოფს იურიდიული ლიტერატურის გამოცემას. 2016 წელს გამოქვეყნდა წიგნი, რომელიც ეხებოდა 1921 წლის კონსტიტუციის მიღებას და მასთან დაკავშირებულ დისკუსიებს (მიეძღვნა 1921 წლის კონსტიტუციის 95 წლისთავს), და სერია – „ქართული სამართლის კლასიკა“, რომლის ორი ტომი გამოიცა და დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში. გამომცემლობას ეკუთვნის პროექტი – „აკრძალული იურიდიული ლიტერატურა“, – რომელიც სერიულია და შედგება თორმეტი წიგნისაგან. აგრეთვე საგამომცემლო ჯგუფმა მოამზადა პროექტი – „ხელნაწერი წიგნი“, რომლის ფარგლებშიც გამოიცა ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერი შრიფტით შექმნილი წიგნი „ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია“.

გამომცემლობა „ზიარი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: დოკუმენტური პროზა, პოეზია
საკონტაქტო პირი: ნატო ალხაზიშვილი
უფლებების მენეჯერი: ნატო ალხაზიშვილი
მისამართი: ყიფშიძის ქ. №2; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 599 53 78 87
ელ. ფოსტა: nalhazishvili@poeziapress.org
ვებგვერდი:facebook.com/ZiariPress/

„ზიარმა“ საქმიანობა 2015 წელს დაიწყო ვეფხისტყაოსნის ახალი ინგლისური თარგმანის გამოცემით (მთარგმნელი – ლინ კოფინი). ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ვეფხისტყაოსანი თექვსმეტმარცვლიანი შაირით ითარგმნა ინგლისურად.
„ზიარმა“ ასევე გამოსცა ქართველი პოეტების რამდენიმე კრებული, თუმცა, ამავდროულად, შეიცვალა პრიორიტეტი და მიზნად დაისახა დაეხმაროს საზოგადოებას ისტორიის გაკვეთილების გააზრებაში. ჩვენი გამომცემლობა ქართველ მკითხველს სთავაზობს დოკუმენტურ პროზას (თარგმნილსა და ქართულს), რომელიც სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩენს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ბოლოდროინდელ გამოცდილებას.

„ზიზილა“

საგამომცემლო პრიორიტეტი:
საკონტაქტო პირი: სოფო კაჯილაშვილი
მისამართი: თბილისი, მთაწმინდა, არსენას 23
ტელეფონი: 58743737
ელ. ფოსტა: sophokajilashvili@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/ZIZILAbags https://www.instagram.com/zizilabags/

მე ვარ სოფო კაჯილაშვილი, ზიზილას დამფუძნებელი. ზიზილა არის საქართველოში დაბადებული სტარტაპი. ყველაფერი, 7 წლის წინ, ფერად-ფერადი ნაჭრის ნაკუწების ერთმანეთზე მიკერებით დაიწყო. ჯერ იყო პლედები, შემდეგ ბალიშები, ბოლოს ჩანთები. ახლა სხვადასხვა ნაჭრისგან სხვადასხვა ზომის ჩანთას ვკერავ. ზიზილას პროდუქცია მომხმარებლამდე ონლაინ მაღაზიის გარდა, 2018 წლიდან ქუჩის მარკეტებისა და ფესტივალების დახმარებით მიდის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხალხთან პირდაპირი კონტაქტი და მათი ემოციების, უკუკავშირის მიღება ზიზილას ჩანთებზე. პარალელურად ვიღებ კორპორაციულ და ონლაინ შეკვეთებს, მაქვს საკურიერო მომსახურება მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, თუმცა ზიზილები უკვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დამოგზაურობენ. ამ ეტაპზე ჩემს ბიზნესს ვაწარმოებ სახლში. ზიზილას მთავარი ღირებულება ხარისხიანი პროდუქტის შექმნაა, მიზანი კი რაც შეიძლება მეტი კმაყოფილ #პატრონსჩაბარებულიზიზილა.

თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა

ტელეფონი: +90 212 455 60 00
ელ. ფოსტა: ito@ito.org.tr
ვებგვერდი: www.ito.org.tr

სტამბოლის სავაჭრო პალატა (ICOC) დაარსდა 1882 წელს. დაარსებიდან ის ყველაზე ეფექტური და გავლენიანი ორგანიზაციაა, რომელიც თურქეთის ბიზნეს-კლიმატს განსაზღვრავს. ამჟამად, სავაჭრო პალატა წარმოადგენს 640000-ზე მეტ კომპანიას ბიზნეს სექტორის ყველა კუთხიდან.

თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი – პროგრამა „ლოგოსი"

საგამომცემლო პრიორიტეტი: კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია და ახალი ბერძნული ფილოლოგია
საკონტაქტო პირი: გოჩა კევლიშვილი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №13; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 25 02 58
ელ. ფოსტა: kevlishvili13@gmail.com

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი შეიქმნა 1997 წელს ბერძნული და რომაული ფილოლოგიის სფეროში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებული სასწავლო და სამეცნიერო ქვედანაყოფების გაერთიანების საფუძველზე. ინსტიტუტის აკადემიური სექტორი წარმოდგენილია სამი მიმართულებით: კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია და ახალი ბერძნული ფილოლოგია. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, საინფორმაციო და საკონფერენციო ცენტრები.

თსუ წიგნის მაღაზია „SCRIPTA MANENT"

მისამართი: თბილისი, ჯავჯავაძის გამზირი №1, თსუ I კორპუსი თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ X კორპუსი
ტელეფონი: (+995 32) 2 25 04 84
ელ.ფოსტა: bookstore@tsu.ge
ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ka/scripta-manent

თსუ გამომცემლობა დაარსდა 1933 წელს. ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილია. გამოსცემს როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურას, ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებს. 2015 წლიდან ფუნქციონირებს თსუ წიგნის მაღაზიათა ქსელი "Scripta Manent". მაღაზიები განთავსებულია თსუ პირველ და მაღლივ კორპუსებში. თსუ გამომცემლობისა და წიგნის მაღაზიათა ქსელის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და საინტერესო ლიტერატურა შესთავაზოს ქართველ მკითხველს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

საკონტაქტო პირი: გრიგოლ კეკელია
მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზირი N 3/5; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 577 23 77 49
ელ. ფოსტა: gigakekelia@iliauni.edu.ge
ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, კვლევითი პროცესების წარმართვას, რისთვისაც: გამოსცემს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის შედეგებს; უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოებს; თარგმნის და გამოსცემს ამა თუ იმ დარგის საუკეთესო სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურას; უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სასწავლო მასალებით (რიდერებით, ტესტებით, კითხვარებით და ა. შ.), ბეჭდავს უნივერსიტეტის საპრეზენტაციო და სარეკლამო პროდუქციას; გამომცემლობამ 2006 წლიდან დღემდე 200-ზე მეტი წიგნი, ჟურნალი და სახელმძღვანელო გამოსცა.

წიგნების მაღაზია „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ინგლისურენოვანი წიგნები, ინგლისური ენის სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო მასალები
საკონტაქტო პირი: თამთა შენგელია
მისამართი: დიდი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. №92 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 32 200 12 42
ელ. ფოსტა: englishbookteam@englishbook.ge
ვებგვერდი: https://bookshop.ge/

ჩვენ ვაკავშირებთ სამყაროს წიგნებით, რომლებიც იდეების, ოცნებების და განათლების საწინდარია. ჩვენი წიგნების მაღაზია bookshop.ge წარმოადგენს კომპანია “English Book Education”-ის ნაწილს, ჩვენ ვმოღვაწეობთ ერთ-ერთ ყველაზე კრეატიულ სექტორში, ვამაყობთ ჩვენი წარსულით და ამბიციურად ვუყურებთ მომავალს. Bookshop.ge – მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის მიმართულებით თანამშრომლობს შემდეგ გამომცემლობებთან: “Penguin Random House” (გაერთიანებული სამეფო), “Penguin Random House” (აშშ), “Vintage”, “Hachette”, “Harper Collins”, “Scholastic”, “Pan Macmillan”, “Bloomsbury” და სხვა მრავალი.

გამომცემლობა „ინდიგო“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ჟურნალი ინდიგო
საკონტაქტო პირი: თამარ პაპავა
უფლებების მენეჯერი: ნატა ძველიშვილი
მისამართი: ი. გოგებაშვილის №38, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 555 57 45 45
ელ. ფოსტა: info@indigo.com.ge
ვებგვერდი: https://indigo.com.ge/

გამომცემლობა „ინდიგო“ 2015 წლიდან გამოსცემს ყოველკვარტალურ კულტურულ-საზოგადოებრივ ჟურნალს _ „ინდიგო“. 2018 წლიდან ინდიგომ დაიწყო დოკუმენტური პროზის გამოცემაც. ამჟამად „ინდიგო“ სპეციალიზდება რამდენიმე მიმართულებით: ვრცელი, მაღალპოლიგრაფიული ხარისხით დაბეჭდილი ფოტოწიგნები ხარისხიანი ლიტერატურული ტექსტების თანხლებით; კვლევაზე დაფუძნებული ესეების კრებულები სხვადასხვა თემაზე, ზეპირი ისტორიები, დოკუმენტური პროზა, სამოგზაურო გზამკვლევები.

გამომცემლობა „ინტელექტი"

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები
უფლებების მენეჯერი: გვანცა ჯობავა
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №5; თბილისი, საქართველო
საკონტაქტო პირი: ზვიად კვარაცხელია, ლიკა ჭალაგანიძე
ტელეფონი: +995 322 25 05 22
ელ. ფოსტა: info@intelekti.ge
ვებგვერდი: https://intelekti.ge/

გამომცემლობა ინტელექტი 1994 წელს დაარსდა და უკვე ორი ათეული წელია გამოსცემს სასკოლო სახელმძღვანელოებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლებისთვის. ინტელექტი ყოველწლიურად 300-ზე მეტი დასახელების წიგნს ბეჭდავს. მათგან აღსანიშნავია მხატვრული და დოკუმენტური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები; კლასიკური და თანამედროვე პროზა და პოეზია; მხატვრულ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა როგორც ქართულ ენაზე შექმნილი, ისე თარგმნილი სხვადასხვა ენიდან. ინტელექტს აქვს რამდენიმე საავტორო სერია, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია: ნობელის პრემიის ლაურეატები, 100 ლექსი, ჩანაწერები, ინტელექტი სკოლას. გამომცემლობა ინტელექტი ყოველწლიურად მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო წიგნის ფესტივალზე და აქტიურად ეწევა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება

განყოფილების ხელმძღვანელი: აჰმადალი მეჰრი არდესთანი
მისამართი: თბილისი 0160, ლვოვის ქუჩა №80
ტელეფონი: +995 32 2253370; +995 32 225371; +995 32 2253372
ელ.ფოსტა: a153mehri@gmail.com
ვებ-გვერდი: ttps://ka.icro.ir/Tbilisi

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება თბილისში ოფიციალურად 2009 წლიდან საქმიანობს, ორ ქვეყანას, ირანისა და საქართველოს მთავრობებს შორის 1995 წლის 21 აპრილს ხელმოწერილი კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სფეროში გაცვლითი პროგრამის საფუძველზე და ამ დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო ორმხრივი კულტურული პროგრამების და ამოცანების შესრულების და ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურული დიპლომატიის პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობას იღებს.

ირინა დენეიკინა

ტელეფონი: +995 593 27-62-37, +995 593 57-75-36
ელ. ფოსტა: mtania55@yandex.ru

სადისტრიბუციო კომპანია წიგნის ბაზარზე ფუნქციონირებს 2011 წლიდან. ორგანიზაცია თანამშრომლობს 20-ზე მეტ რუსულ გამომცემლობასთან და ახორციელებს სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის იმპორტს საქართველოში, კერძოდ, საბავშვო, მხატვრული, სასწავლო-საგანმანათლებლო და სხვა. ორგანიზაცია იღებს შეკვეთებს ნებისმიერი თემატიკის ლიტერატურაზე.

კამპანია „კაცები ზრუნავენ“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ჩვენი მიზანია კაცების ჩართულობის გაზრდა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში
საკონტაქტო პირი: მირიან ჯუღელი
უფლებების მენეჯერი: ნინია მაჭარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ #19
ტელეფონი: 593656294
ელ. ფოსტა: hello@mencare.ge
ვებგვერდი:www.mencare.ge

კამპანია “კაცები ზრუნავენ” 2014 წელს შეიქმნა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და არასამთავრობო ორგანიზაცია Care Together-ის მიერ.
2014 წელს, საქართველოში პირველად გამოქვეყნდა კვლევა კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში რომელმაც აჩვენა, რომ გენდერული როლები არათანაბრადაა გადანაწილებული. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვექმნა კამპანია, რომლის მიზანია კაცების ჩართულობის, პოზიტიური მშობლობის, ძალადობის აღმოფხვრის და ოჯახებში როლების თანაბარი გადანაწილების ხელშეწყობა.
კამპანიამ არაერთი ღონისძიება თუ ინიციატივა განახორციელა, მათ შორის არის:

- მამის დღის დაფუძნება
- მამების სკოლა
- მამაკაცური საუბრები
- მამების თასი
- მამების ჯგუფი
- ბავშვებისა და მშობლების 6 სხვადასხვა საკითხავის გამოცემა
- სატელევიზიო პროგრამები
- ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები
- და სხვა

2018 წელს Emerging Europe-მა წლის საუკეთესო ინიციატივად გენდერული თანასწორობის მისაღწევად ევროპაში „კაცები ზრუნავენ“ დააჯილდოვა, ხოლო 2022 წელს კამპანია ოფიციალურად გახდა MenCare Global-ისა და MenEngage-ის ქსელის წევრი.

გამომცემლობა „კლიო“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული, მემუარული და სხვა სახის ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები
საკონტაქტო პირი: ზაზა ხიდურელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №181, 0102, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 34 04 30, +995 599 50 33 76
ელ. ფოსტა: book@klio.ge, kliopublishing@gmail.com
ვებგვერდი: https://klio.ge/

გამომცემლობა „კლიო“ დაარსდა 2003 წელს. იგი გთავაზობთ საცნობარო, მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო პოპულარული, მემუარული და სხვა სახის ლიტერატურას, აგრეთვე ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებს და დამხმარე სასწავლო ლიტერატურას.
2020-2022 წლებში „კლიომ“ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „დავუახლოვდეთ ლიტერატურულ ევროპას“, რომლის ფარგლებში ქართულ ენაზე თანამედროვე ევროპელი მწერლების 9 ნაწარმოები ითარგმნა და გამოიცა.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

პრიორიტეტები: ხელნაწერების დაცვა, მოვლა, სამეცნიერო კვლევა, სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა
საკონტაქტო პირი: მარიამ ჯაბიძე
უფლებების მენეჯერი: ზაალ აბაშიძე
მისამართი: მერაბ ალექსიძის ქ. №1/3, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 032 2 47 42 42; 577 977 199
ელექტრონული ფოსტა: info@manuscript.ac.ge, Mariam.jabidze@manuscript.ge
ვებგვერდი:www.manuscript.ge

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საცავია, სადაც დაცულია უძველესი ხელნაწერი წიგნები (როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი), ისტორიული საბუთები და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები. ამას გარდა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარმოადგენს ქართველოლოგიური მეცნიერების ყველაზე მძლავრ სკოლას. ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგად და მასზე დაყრდნობით, ცენტრი დაინტერესებულ საზოგადოებას, პერიოდულად, სხვადასხვა სახის ბეჭდურ პროდუქციას სთავაზობს.

COSMO „კოსმო“ – ხელნაკეთი აქსესუარები

ტელეფონი: 577 32 74 42
ელ.ფოსტა: cosmo.handmade@gmail.com
ვებგვერდი: https://cosmo.com.ge/

„კოსმო“ ყველაზე მრავალფეროვანი ხელნაკეთი აქსესუარების ბრენდია საქართველოს მასშტაბით. დღესდღეობით „კოსმოს“ ფერადი და უნიკალური აქსესუარები 7 ფილიალშია წარმოდგენილი. ასევე, მათი პოვნა შესაძლებელია საერთაშორისო პლატფორმაზე “Etsy”.

„ჩვენ თავგადასავლების მაძიებლები ვართ, სიახლეებით ვსაზრდოობთ და მუდამ ვფიქრობთ, რა შევქმნათ ახალი და ამავდროულად ჩვენი მომხმარებლების მოლოდინებს ყოველ ჯერზე გადავაჭარბოთ“ – ამბობენ კოსმოელები. „კოსმოში“ იქმნება დიზაინები, რომლებსაც არაერთხელ მიუნიჭებიათ ბედნიერება ადამიანებისთვის და მათ ცხოვრებაში ფერად და სიყვარულით გაჟღენთილ მოგონებად დარჩენილან.

ამჟამად „კოსმო“ აწარმოებს 70-მდე დასახელების თემატურ პროდუქტს. მათ შორისაა: ნატურალური ტყავის ჩანთები, საფულეები, ხის საყურეები, ყელსაბამები, ბროშები, დღიურები და სხვა. თითოეული პროდუქტი უნიკალურია და განკუთვნილია სიახლეების და თავგადასავლების მაძიებელი, ცნობისმოყვარე ადამიანებისთვის.

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლები, სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ნატო გელაშვილი, მარიკა ტყეშელაშვილი
მისამართი: გალაკტიონის ქუჩა №20, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 577 202 100, 593 784 311
ელ. ფოსტა: info@caucasianhouse.ge

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“ არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით კი, კავკასიელი ხალხების კულტურის გავრცელებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. „კავკასიური სახლის“ გამომცემლობას გამოცემული აქვს როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლები, სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურების შესახებ, ასევე „კავკასიური სახლის“ გამომცემლობა აქტიურად აქვეყნებს ქართველ ავტორთა მხატვრულ შემოქმედებასაც.

„მარს დიზაინი“

საკონტაქტო პირი: ანასტასია ჯაფარიძე
მისამართი: მ. ასათიანის 10ა, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 555150821
ელ. ფოსტა: marsdesignshop@gmail.com; anastasiajaparidze1@gmail.com

“Mars Design” არის საკანცელარიო პროდუქციის ბრენდი, რომელიც ორიენტირებულია პოპ-კულტურასა და ლიტერატურაზე. ბრენდი აერთიანებს ისეთ მრავალფეროვან პროდუქციას, როგორიც არის: დაგეგმვის ბლოკნოტები; წიგნის სანიშნები დიდი მწერლების გამოსახულებით; მაგნიტური სანიშნები; ბარათები; სტიკერები; სტიკერების კრებულები: როგორც ფემინისტური თემატიკით, ასევე საკულტო ფილმებისა და სერიალების პერსონაჟებისა და მსახიობების გამოსახულებით; გაკვეთილების ცხრილები; მაცივრის მაგნიტები და მაისურებიც კი.

გამომცემლობა „მედუზა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფენტეზი და სამეცნიერო ფანტასტიკა
საკონტაქტო პირი: ანა ყიასაშვილი
უფლებების მენეჯერი: მარიამ კვიციანი
მისამართი: ლეჩხუმის ქუჩა 49, თბილისი
ტელეფონი: +995 598 277033
ელ. ფოსტა: info@meduzabooks.ge
ვებგვერდი: https://meduzabooks.ge/

გამომცემლობა “მედუზა” 2022 წლიდან გამოსცემს წიგნებს ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრებში. გამომცემლობა თანაბრადაა კონცენტრირებული თარგმანებზე და ქართველ ავტორებზე. “მედუზას” პირველი წიგნი XX საუკუნის ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობების კრებული “დროთა კავშირია”. გამომცემლობის შემდეგი პროექტები კი მოიცავს როგორც ჟანრის კლასიკური ნაწარმოებების თარგმანებს, ისე თანამედროვე ლიტერატურას, მათ შორის ქართველი ავტორის სადებიუტო წიგნს ფენტეზის ჟანრში. გამომცემლობის მიზანია ქართველ მიაწოდოს მკითხველს ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურა თავისი სრული მრავალფეროვნებით.

გამომცემლობა „მერიდიანი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: სასწავლო, სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: კახაბერ რუსიძე; მარინა კილაძე
მისამართი: ყაზბეგის გამზირი №47, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 39 15 22; +995 599 54 17 07; +995 599 23 51 78
ელ. ფოსტა: meridiani777@gmail.com

გამომცემლობა „მერიდიანი“ დაფუძნდა 1994 წლის 11 მარტს. საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სასწავლო, სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის მომზადება და გამოცემა, ასევე, პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, ორგანიზაციების ინდივიდუალური სატიტულო ფურცლებისა და ფერადი ბლანკების მომზადება-დაბეჭდვა.

მწერალთა სახლი

პრიორიტეტები: ლიტერატურულ-კულტურული მიმართულება; სამუზეუმო მიმართულება; საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება; საგანმანათლებლო მიმართულება;
საკონტაქტო პირი: ნინო გოგიტიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ივანე მაჩაბლის №13
ტელეფონის ნომერი: +99532 297 41 01/02
ელ-ფოსტა: info@writershouse.ge
ვებ გვერდი www.writershouse.ge

მემკვიდრეობის და ლიტერატურის პოპულარიზაცია, სალიტერატურო პროცესების ხელშეწყობა, ლიტერატურული კონკურსებისა და პრემიების დაწესება, უცხოურ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და სახელოვნებო კავშირებთან კონტაქტების დამყარება და განვითარება, ორი მუზეუმის (დ. სარაჯიშვილისა და რეპრესირებულ მწერალთა) განვითარება, ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის საინტერესო პროექტების შეთავაზება, ლიტერატურული გაზეთის გამოცემა.
მწერალთა სახლი ემსახურება ქართული წიგნისა და ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, კერძოდ, ქართული ლიტერატურის და უცხოური ლიტერატურის თარგმნის პროცესის განვითარებას, ლიტერატურის მეშვეობით კულტურათშორისო დიალოგის გაღრმავებას და საერთაშორისო ლიტერატურულ და საგამომცემლო სივრცეში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური რესურსის წარმოჩენას.

წიგნის მაღაზია „ოლმა“

მისამართი: ქ.თბილისი ფიფიების ქ. №8; თბილისი, საქართველო
საკონტაქტო პირი: გარეგინ აივაზიანი
ტელეფონი: +995 597 10 62 17
ელ.ფოსტა: olmasms@gmail.com
ვებგვერდი: www.olma.ge

წიგნის მაღაზია „ოლმა“ 10 წელზე მეტია თბილისში რუსული წიგნების ფართო არჩევანი შემოაქვს; იღებს ასევე შეკვეთებს. „ოლმა“-ს კატალოგი გამოირჩევა რუსული გამოცემების მრავალფეროვნებით. წიგნები განკუთვნილია მკითხველის ფართო სპექტრისთვის: საგანმანათლებლო ლიტერატურა (სკოლებისა და უნივერსიტეტების სახელმძღვანელოები), სამეცნიერო ლიტერატურა, ბიზნეს ლიტერატურა, საბავშვო ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ეზოთერიკა, განვითარების სარგებელი და ა. შ. წიგნის მაღაზიაში წარმოდგენილია შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებელი მრავალფეროვანი სათამაშოები და საგანმანათლებლო თამაშები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის.

გამომცემლობა „პალიტრა L“

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო წიგნები, მხატვრული და დოკუმენტური პროზა
საკონტაქტო პირი: ნიკა ბარიშვილი
უფლებების მენეჯერი: თინა ასათიანი
მისამართი: იოსებიძის ქ. №49; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 032 2 38 38 71
ელ.ფოსტა: book@palitra.ge
ვებგვერდი: https://www.palitral.ge/

„პალიტრა L“ 2005 წელს დაარსდა მისიით, გაეღრმავებინა წიგნის სიყვარული საზოგადოებაში, დღეს კი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული გამომცემლობაა, რომელიც წლის განმავლობაში 500-ზე მეტი დასახელების წიგნს გამოსცემს. მსოფლიო კლასიკა, თანამედროვე ბესტსელერები, თინეიჯერული მიმართულება „ლიბერთინისი“, ბიზნეს ლიტერატურა „ლურჯი ოკეანე“, ლიტ. კონკურსი „გახდი ბესტსელერის ავტორი“, ლიტერატურული კონკურსი „გახდი საბავშვო ბესტსელერის ავტორი“, ასევე პალიტრა L-ს ეკუთვნის აუდიოწიგნების პლატფორმა www.gudabooks.ge. აღსანიშნავია სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი „მაკულიტერატურა“, რომლის მიზანია გარემოზე ზრუნვა. ეს წარმატებული პროექტების მცირე ჩამონათვალია. გამომცემლობა ამაყობს, რომ დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის განვითარებაში, საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნასა და ახალი თაობის წიგნით დაინტერესებაში.

წიგნის მაღაზია „პარნასი"

საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია
მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. №22, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 032 250 255
ელ. ფოსტა: info@parnasi.ge

პარნასი არის ერთ-ერთი პირველი წიგნის მაღაზია თბილისში, რომელიც 2002 წელს დაარსდა. პარნასი გთავაზობთ არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიოს წამყვანი გამომცემლობების მიერ გამოცემულ წიგნებს ყველა ენასა და ყველა თემაზე ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის, პარნასში შეგიძლიათ შეიძინოთ ან შეუკვეთოთ როგორც მხატვრული, ასევე სამეცნიერო ლიტერატურა (მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, სამედიცინო, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ბიზნესი, ზუსტი მეცნიერებები და ა. შ.)

PARSEK1 Comic books & Coffee „პარსეკ1"

საგამომცემლო პრიორიტეტი: ინგლისურენოვანი კომიქსები და მანგა, იაპონურენოვანი მანგა, არტბუქები
საკონტაქტო პირი: ზურაბ ნაროზაული
უფლებების მენეჯერი: ანი ზედელაშვილი
მისამართი: ექვთიმე თაყაიშვილის 1ა, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 599 12 14 53
ელ. ფოსტა: info@parsek1.com
ვებგვერდი: https://parsek1.com/

საქართველოში კომიქსების და მანგების პირველი ფიზიკური მაღაზია – "პარსეკ1" შეიქმნა 2017 წელს და უკვე 5 წელია რაც ქვეყანაში კომიქსების და მანგების კულტურის გავრცელება-განვითარებაზე ზრუნავს, ამ მომენტისთვის მაღაზია მომხმარებელს ქვეყნის მასშტაბით ინგლისურენოვანი კომიქსების და მანგების ყველაზე დიდ არჩევანს სთავაზობს, ინგლისურთან ერთად პარსეკში უკვე ხელმისაწვდომია ორიგინალი, იაპონურენოვანი მანგაც. პარსეკი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ კომიქსების მხატვრებთან და ხელს უწყობს მათი ნამუშევრების რეალიზებას.

„პატერსონი“

საკონტაქტო პირი: ნინო გელაშვილი
მისამართი: საქართველო, რუსთავი, რუსთაველის #11
ტელეფონი: 593564608 / 599131893
ელ. ფოსტა: shop.paterson@gmail.com
ვებგვერდი: Facebook: facebook.com/Shop.Paterson Instagram: instagram.com/Shop.Paterson

„პატერსონი“ საქართველოში ორი წლის წინ შექმნილი სტარტაპია, რომელიც ნაჭრის ფერად ჩანთებს აწარმოებს. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ბუნებრივი მასალისგან დამზადებული ეკო მეგობრული ჩანთების პოპულარიზაციას და ისინი ხელმისაწვდომი გავხადოთ სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების ადამიანისათვის. ფესტივალის განმავლობაში, სტენდთან, გარდა ნაირფერი ჩანთებისა, შეიძენთ სხვადასხვა სახის აქსესუარებს – საფულეებს, საბარათეებს, კოსმეტიკის ჩანთებს და სხვა. „პატერსონის“ ფერად სივრცეში ყველანაირი ინტერესის ადამიანისთვის მოიძებნება სანიშნეები, ბლოკნოტები, სტიკერები, ცნობილი ნახატებით გაფორმებული ბარათები და ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული სხვა სასაჩუქრე ნივთები.

სათამაშოების მაღაზია „პეპელა“

საკონტაქტო პირი: გუსა დედანაშვილი
მისამართი: იოსებიძის №49, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 577273111
ელ.ფოსტა: marketing@pepela.ge
ვებგვერდი: http://www.pepela.ge/

სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „პეპელა“ 2006 წ. დაარსდა და უკვე 16 წელია, რაც საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფუნქციონირებს. ამჟამად, „პეპელა“ სათამაშოების ბიზნესსექტორში ერთერთი მსხვილი და წარმატებული კომპანიაა. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს როგორც ევროპული, ასევე საერთაშორისო ბრენდების ფართო ასორტიმენტს, რომელიც გათვლილია ყველა ასაკის ბავშვისთვის. „პეპელას“ სათამაშოები ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს, მათ შორის EN71-ს, რაც სათამაშოების ხარისხის ყველაზე მკაცრ შემოწმებას გულისხმობს.

„რასთი კომიქსი"

საგამომცემლო პრიორიტეტი: კომიქსები, თარგმნილი ლიტერატურა, საბავშვო წიგნები, კლასგარეშე ლიტერატურა.
საკონტაქტო პირი: თემურ პეტრიაშვილი
უფლებების მენეჯერი: ბექა ჯანელიძე
ტელეფონი: +995 5777 555 058, +995 558 253 969
ელ. ფოსტა: temo@rustycomics.ge, janel@rustypictures.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/RustyComicBooks

კომიქსების პირველი ონლაინ მაღაზია ლიცენზირებული პროდუქტით. საწყის ეტაპზე ვთარგმნით კომპანია "დისნეის" პროდუქტს. ვქმნით კომიქსის კითხვის კულტურას ქართულ, მშობლიურ ენაზე. ვეხმარებით ქართული კომიქსების პოპულარიზაციას, როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსა"

საკონტაქტო პირი: მადონა ელიაშვილი
ტელ: +995 032 288 08 31
ელ. ფოსტა: books@santaesperanza.ge
მისამართი: სანქტ პეტერბურგის N12, თბილისი, საქართველო
ვებგვერდი: www.santaesperanza.ge/

წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსას" პირველი მაღაზია გაიხსნა 2005 წელს თბილისში, სანქტპეტერბურგის ქუჩაზე. 2017 წლიდან გადაწყდა წიგნის მაღაზიის ქსელის განვითარება. ჩვენი მიზანია მთელს საქართველოში შევქმნათ ხარისხიანი წიგნის მაღაზიათა ქსელი. კომპანია თანამშრომლობს ყველა ქართულ გამომცემლობასთან. ასევე, ახორციელებს წიგნების იმპორტს სხვადასხვა ქვეყნიდან. არის რამდენიმე უცხოური გამომცემლობის ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. წიგნის მაღაზია "სანტა ესპერანსა" მუდმივად ატარებს საინტერესო საღამოებს, რომლებიც ყოველთვის ექცევა მკითხველების ყურადღების ცენტრში, დაარსებიდან დღემდე ჩვენი მაღაზია არის მკითხველების საყვარელი ადგილი, სადაც ყოველთვის შეიძლება მიაგნო სასურველ წიგნს, მიიღო კვალიფიციური რჩევა და საუკეთესო მომსახურება.

გამომცემლობა „საქწიგნი“

საკონტაქტო პირი: ანდრო შონია
უფლებების მენეჯერი: ლია მეტრეველი
მისამართი: თამარ მეფის გამზირი №14; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 96 90 70
ელ.ფოსტა: saqwigni@yahoo.com

შპს „საქწიგნი“ წიგნის სფეროში 1932 წლიდან მოღვაწეობს. ორგანიზაცია სტაბილურად განაგრძობს განვითარებას. მისი საქმიანობა მოიცავს საგამომცემლო, სავაჭრო და სადისტრიბუციო სფეროებს. ორგანიზაციას აქვს მაღაზიების ქსელი როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

„სეზან ფაბლიშინგი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: დოკუმენტური პროზა (ქართული და თარგმნილი), საავტორო ალბომები, ქართველი მხატვრების რეპროდუქციები და ქაღალდის საკანცელარიო პროდუქცია;

საკონტაქტო პირი: შორენა შავერდაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, აბაშიძის №65/67, თბილისი 0162, საქართველო
ტელეფონის ნომერი: 599 250277
ელ-ფოსტა: cezanne.publishing@gmail.com
ვებ გვერდი: www.miobius.ge

გამომცემლობა “სეზან ფაბლიშინგი” 2014 წელს დაფუძნდა როგორც დამოუკიდებელი გამომცემლობა და მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: დოკუმენტური პროზა, როგორც ქართული, ისე თარგმნილი; საავტორო ალბომები და ქაღალდის საკანცელარიო პროდუქცია, მათ შორის ქართველი მხატვრების რეპროდუქციები, ბლოკნოტები, ღია ბარათები, წიგნის სანიშნეები და ასე შემდეგ;
“სეზან ფაბლიშინგისთვის” მნიშვნელოვანია ქართულენოვან მკითხველს შესთავაზოს ისეთი დარგობრივი ლიტერატურა (კინოლიტერატურა, ნატურალური სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია), რაც ახალია ჩვენი სივრცისთვის;
ასევე, ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია საგამომცემლო საქმეში მაღალი პოლიგრაფიული სტანდარტის შენარჩუნება.

„სეზანი“

საკონტაქტო პირი: ირინა შავერდაშვილი
მისამართი: დიდი დიღომი,არჩილ მეფის #1,თბილისი, საქართველო
ტელეფონი +995 322 35 70 02; +995 599 67 77 56
ელ.ფოსტა: irinacezanne@gmail.com; mananakartozia@yahoo.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/CezanneLtd

„სეზანი“ გერმანული ფირმა „ჰაიდელბერგის“ პარტნიორია და ევროპულ ხარისხს ამკვიდრებს ქართულ ბაზარზე. მისი საგამომცემლო ჯგუფი ცდილობს, საიმიჯო გამოცემებიც შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტს, სულისკვეთება კი ეროვნული ჰქონდეს. ამის დასტურია სერიები: „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“, „დაიბადა საქართველოში“, „ქებათა ქება სპორტს“...
2021 წელს ახალი სერიით: „ბავშვობის თანამგზავრები“ – შემოგთავაზეთ 25 წიგნი. სერიის დამაგვირგვინებელია საგანგებო გამოცემა, რომელიც უკრაინელი ხალხის სოლიდარობის განცდით შეიქმნა. მასში მონაწილეობენ სერიის მხატვარ-ილუსტრატორები, რომლებიც ვიზუალურად გამოხატავენ პირად დამოკიდებულებას.
ტექსტი ეკუთვნის ქართულ-უკრაინული ურთიერთობის დესპანს, მკვლევარს, პოეტსა და მთარგმნელს – რაულ ჩილაჩავას. მისი ღია წერილების ადრესატია 2 წლის შვილიშვილი ევა, რომელიც უკრაინელ დედასთან ერთად ლისაბონში შეიფარეს, მამა კიევში დარჩა, ხოლო თბილისში დაბრუნებული ბაბუა თავის ორ სამშობლოზე უამბობს პატარა გოგოს.

გამომცემლობა „სიესტა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ქეთევან კიღურაძე, დავით კაკაბაძე
უფლებების მენეჯერი: დავით კაკაბაძე
მისამართი: ირაკლი აბაშიძის №33
ტელეფონის: +995 551 336 433
ელ.ფოსტა: books@siesta.com.ge
ვებგვერდი: Siesta.com.ge

გამომცემლობა „სიესტა“ დაარსდა 2004 წელს და მას შემდეგ მკითხველს სთავაზობს ქართველი და უცხოელი ავტორების პროზაულ ნაწარმოებებს, პოეტურ კრებულებს. „სიესტის“ გამოცემულ წიგნებს არაერთხელ მოუპოვებიათ პრესტიჟული ლიტერატურული პრემიები. ამჟამად „სიესტის“ მთავარი პროექტია სერია „თანამედროვე კლასიკა“, რომლის ფარგლებშიც 2023 წელს გამოიცა სინკლერ ლუისის „ეს აქ ვერ მოხდება“, ჰერტა მიულერის „სუნთქვის საქანელა“ და მიგელ დე უნამუნოს „სიყვარული და პედაგოგიკა“. 2022 წელს „სიესტამ“ საფუძველი ჩაუყარა ორ ახალ პროექტს. ესენია „პატარა შედევრები“ და „მშობლები და შვილები“. პირველის მიზანია, მკითხველს შესთავაზოს სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის, ცნობილი თუ უცნობი, მცირე პროზაული ნაწარმოებები. მეორის ამოცანაა, თავი მოუყაროს მშობლისა და შვილის ურთიერთობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს.

სულაკაურის გამომცემლობა

საგამომცემლო პრიორიტეტი: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა
უფლებების მენეჯერი: ნუკა ღამბაშიძე
საკონტაქტო პირი: შორენა შენგელაია
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №150; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 91 09 54; +995 322 91 11 65
ელ.ფოსტა: info@sulakauri.ge
ვებგვერდი: https://www.sulakauri.ge/

„სულაკაურის გამომცემლობა“ დაარსდა 1999 წელს. თავდაპირველად ის თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე იყო ორიენტირებული. დროთა განმავლობაში სულაკაურის გამომცემლობის საგამომცემლო პრიორიტეტები გაფართოვდა და პატარა ოჯახური ტიპის გამომცემლობიდან საქართველოს წამყვან გამომცემლობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში. ამჟამად საგამომცემლო პრიორიტეტებია: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

საკონტაქტო პირი: თეონა ხურცილავა
უფლებების მენეჯერი: თინათინ ფეიქრიშვილი
მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. №3, თბილისი, 0186
ტელეფონი: (+995 32) 2 42 22 42, 555448337
ელ.ფოსტა: info@sabauni.edu.ge
ვებ გვერდი: https://www.sabauni.edu.ge/

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სახელით 20-წელზე მეტია, რაც რამდენიმე ასეული კვლევა ტარდება, ამასთან, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნები, თარგმანები და სახელმძღვანელოები ინტეგრირებულია საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების კურიკულუმებში თეოლოგიის, რელიგიის კვლევების, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით.
უნივერსიტეტი გამოსცემს დარგობრივ და ინტერდისციპლინურ პერიოდულ აკადემიურ ჟურნალებსაც. „საბაუნის“ მიერ გამოცემული ზოგიერთი პუბლიკაცია პერიოდულად თავსდება ინტერნეტსივრცეში თავისუფალი წვდომისთვის, რაც უფრო მეტად ზრდის უნივერსიტეტისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცნობადობასა და გავლენას მეცნიერების კონკრეტულ დარგებზე.

გამომცემლობა „ტუნდრაივი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: უკრაინული წიგნები, იურიდიული განათლების პროექტების პოპულარიზაცია.
საკონტაქტო პირი: ირინა შაგანიანი, ირინა პენკო, ტეტიანა კოლოტილოვა
მისამართი: კიევი, უკრაინა
ტელეფონი: +38 (099) 604 93 23 ,+995 557 60 21 18, +995 591 92 93 12
ელ. ფოსტა: shag@toondrive.com /kas@toondrive.com / toondrivebook@gmail.com
ვებგვერდი: https://toondrivebook.com/

კონსტანტინე ხოლოდკევიჩის გამომცემლობა “ტუნდრაივი” არის ახალი უკრაინული გამომცემლობა, რომელიც შექმნილია თანამოაზრეების მიერ 2022 წელს უკრაინაში რუსული ჯარების სრულმასშტაბიანი შემოჭრის დროს. ჩვენი მიზანი ბავშვების პატრიოტული აღზრდაა. გამომცემლობამ საგამომცემლო საქმიანობა დაიწყო წიგნით „კონსტიტუცია ყველასათვის, დიდისა და პატარისთვის“, რომელიც უკრაინის თითოეული მოქალაქის პირადი მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. ჩვენი სპეციალობაა წიგნებისა და ანიმაციის მეშვეობით სამოქალაქო და იურიდიული განათლების პროექტების პოპულარიზაცია.

„ქარჩხაძის გამომცემლობა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ჯემალ ქარჩხაძის წიგნები, საბავშვო წიგნები, ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მაღალპოლიგრაფიული, ილუსტრირებული გამოცემები, თანამედროვე უცხოური პროზა
საკონტაქტო პირი: გუჯა მარიკაშვილი
უფლებების მენეჯერი: რუსა ხავთასი
მისამართ: ვაჟა-ფშაველას VII კვ. №17/6, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 591504459
ელ.ფოსტა: rusa@karchkhadze.ge
ვებგვერდი: http://karchkhadze.ge/

ქარჩხაძის გამომცემლობა 2004 წლიდან მუშაობს ქართული წიგნის ბაზარზე. რა თქმა უნდა, გამომცემლობა ვერ მოიაზრება მწერალ ჯემალ ქარჩხაძის წიგნების გარეშე: ანტონიო და დავითი, ზებულონი, იგი, ქარავანი, უცნობი ქარჩხაძე - არასრული ჩამონათვალი წიგნებისა, რომლებიც ახალმა თაობამ ხელახლა აღმოაჩინა და აწ უკვე “თანამედროვე კლასიკად” წოდებული მრავალი ადამიანის გონებასა და გულს იპყრობს. გამომცემლობის არანაკლებ პოპულარული წიგნებია თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოცემული ჰაგიოგრაფიის ცნობილი ძეგლები, დავითიანი და საბავშვო ვეფხისტყაოსანი. ქარჩხაძის გამომცემლობის თარგმანებია თანამედროვე თუ კლასიკოსი უცხოელი ავტორების ისეთი ცნობილი წიგნები, როგორებიცაა ედემის აღმოსავლეთით, ბეჭდების მბრძანებელი, მალინა, ბრიჯერტონი, იქ, სადაც კიბორჩხალები მღერიან და სხვა. გამომცემლობა ერთგულ მკითხველს მუდამ ანებივრებს ახალ-ახალი თარგმანებითა თუ საინტერესო პროექტებით.

წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, უცხო ენაზე გამოცემული წიგნები საქართველოს ისტორიის და თანამედროვეობის შესახებ. სუვენირები (პოსტერები, ღია ბარათები), ახალი წიგნების წარდგენები.
საკონტაქტო პირი: ნინო კაციაშვილი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №17ბ; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 032 247 55 35
ელ.ფოსტა: info@shaqrobabua.ge
ვებგვერდი: https://shaqrobabua.ge/

წიგნის მაღაზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოში არსებული გამომცემლობების წიგნები. ძირითადად მოიცავს 2000 წლიდან ამ დრომდე გამოცემულ ლიტერატურას, როგორც მხატვრულს, ისე სამეცნიეროს. ამასთან ერთად, წარმოდგენილია ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ეროვნული უმცირესობების (აზერბაიჯანული) ენაზე. წიგნის მაღაზია თავის სივრცეში ორგანიზებას უწევს მრავალ ქართველ და უცხოელ ავტორთან შეხვედრას, საჯარო ლექციას თუ წიგნის პრეზენტაციას.

გამომცემლობა „შემეცნება“

პრიორიტეტები: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, კლასიკური, თანამედროვე პროზა და პოეზია, სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო დანიშნულების თვალსაჩინოებები და დიდაქტიკური მასალები
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი
უფლებების მენეჯერი: მანანა მაჭავარიანი
მისამართი: ა. ანტონოვსკაიას ქ. №9 ბ; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 32 260 23 15; +995 599 550 554; +995 599 60 23 16
ელ-ფოსტა: info@shemetsneba.ge
ვებ გვერდი: https://www.shemetsneba.ge/

გამომცემლობა „შემეცნება“ 2005 წელს დაფუძნდა და უკვე მე-18 წელია კულტურას, განათლებასა და ლიტერატურას. ჩვენი გამომცემლობის გრიფით 200-ზე მეტი დასახელების წიგნი გამოიცა, რომელიც განსხვავებული გემოვნების მკითხველზეა გათვლილი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბავშვო წიგნები, რომელთა საავტორო უფლებებიც გაყიდულია რამდენიმე ქვეყანაში. გამომცემლობა „შემეცნება“ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის აქტიური წევრია. მონაწილეობას იღებს წიგნის ყოველწლიურ ბაზრობებსა და ფესტივალებზე როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

გამომცემლობა „ცნობისმოყვარე პანდა“

საკონტაქტო პირი: სოფო მუსერიძე
მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის №70
ტელეფონი: 599809494
ელფოსტა: : curiouspanda2020@gmail.com
ვებ-გვერდი: https://www.facebook.com/curiouspanda.publishing

გამომცემლობა „ცნობისმოყვარე პანდა“ გამოსცემს წიგნებს მშობლებისთვის, ბავშვების აღზრდასა და ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით. გამომცემლობის მიზანია, ქართულ ენაზე მივაწოდოთ მკითხველს ინფორმაცია იმისთვის, რომ ბავშვებთან სწორი და ჰარმონიული ურთიერთობა დაამყარონ.

„ჩემი გამომცემლობა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა, მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობა; ახალგაზრდა მწერალთა აღმოჩენა და ხელშეწყობა.
საკონტაქტო პირი: ოლიკო ცისკარიშვილი
უფლებების მენეჯერი: ლევან ბასილაძე
მისამართი: ვაზისუბნის IV მიკრო, II კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 38 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 555 400 662
ელ.ფოსტა: mypublishinghous@gmail.com; oliko71@gmail.com
ვებგვერდი: https://my-publishing-house.com/

გამომცემლობა შეიქმნა პანდემიის პერიოდში, 2020 წლის პირველ აგვისტოს. გამომცემლობის მიზანია საერთო ინტერესების გამოხატვა და დაცვა თავისუფალი ბაზრისა და თანაბარი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ასევე გამოცემის თავისუფლებისა და საავტორო უფლებების დაცვა, პროფესიული ეთიკის ნორმების და კოლეგიალობის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და დაცვა, წიგნის სექტორის პოპულარიზაცია, როგორც დარგის წარმომადგენლობა ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით, გარდა ამისა წიგნის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ლიტერატურული პროცესის განვითარების ხელშეწყობა. ზრუნვა ნებისმიერი ასაკის ადამიანების წიგნიერების დონის ამაღლებაზე. მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის ხარისხის გაუმჯობესება. მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობა. სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შექმნაში, გავრცელებაში ავტორთა დახმარება. ვთანამშრომლობთ თანამედროვე ქართველ ავტორებთან. ვმუშაობთ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურასა და თარგმანებზე. უკვე გამოცემული გვაქვს 30 წიგნი.

გამომცემლობა „წიგნი+ერი“

საკონტაქტო პირი: მზია რაზმაძე
მისამართი: ც.დადიანის №7, სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, A517 ოთახი, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 571 13 12 11
ელ.ფოსტა: info@tsignieri.ge
ვებგვერდი: http://www.tsignieri.ge.

გამომცემლობა „წიგნი+ერი“ დაარსდა 2012 წლის აპრილში, მისი დამფუძნებელია პაატა ხუნაშვილი. „წიგნი+ერი“ გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას ყველა თაობისათვის. გამოცემულია მრავალტომეული „ჩვენი ღირსებანი“, რომელშიც საქართველოს სულიერი და მატერიალური ფასეულობებია ასახული. ორ ენაზეა (ქართულ-ინგლისური) გამოცემული ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, „საქართველოს თევზები“. ასევე გამოიცა სასკოლო ენციკლოპედია, ქართული, უცხოური ზღაპრები. კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც გამომცემლობა ავითარებს, ფსიქოლოგიაა.

Bookland www.bookland.ge წიგნის გამავრცელებელი კომპანია – „წიგნის სამყარო“

საკონტაქტო პირი: ირაკლი სებისკვერაძე
უფლებების მენეჯერი: სოფო კურტანიძე
მისამართი: დიღომი, კრისტიან სტივენის №38, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 551312227
ელ.ფოსტა: sopo@bookland.ge
ვებგვერდი: https://bookland.ge/

კომპანია დაარსდა 2005 წელს და დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, წიგნებითა და სხვა პროდუქციით 200-მდე წიგნის მაღაზიას და 90-ზე მეტ სხვადასხვა პროფილის მქონე სავაჭრო ობიექტს ამარაგებს; გარდა ამისა, 2007 წლიდან წარმატებით ახორციელებს პროდუქციის რეალიზაციას ინტერნეტ-მაღაზიის მეშვეობით. წიგნის რეალიზაციის მსურველებს, წიგნის მაღაზიებს, სუპერმარკეტებს, საკანცელარიო მაღაზიებსა და სხვა საცალო სავაჭრო წერტილების მქონე პირებს კომპანია სთავაზობს წიგნებით სწრაფ და ეფექტურ მომარაგებას.

„ჯეოპოსტერი"

საგამომცემლო პრიორიტეტი: პოსტერები / სუვენირები
საკონტაქტო პირი: ლიკა ჭალაგანიძე
მისამართი: მისამართი; ჭავჭავძის გამზ. 17 ბ
ტელეფონი: 577412263
ელ. ფოსტა: info.geoposter@gmail.com
ვებგვერდი:https://www.facebook.com/Geoposter

ჯეოპოსტერში ვქმნით თანამედროვე ილუსტრირებულ პოსტერებს, პოსტქარდებს, რუკებს და სხვა სამახსოვრო სუვენირებს როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი მომხმარებლებისთვის. წამყვანი როლი პროდუქციის მზადებისას უჭირავს ვიზუალს, რითაც ვცდილობთ განსხვავებულად წარმოვაჩინოთ საქართველოს ღირსშესანიშნაობები, კუთხეები, კულტურა და ამით ხელი შევუწყოთ ქვეყნის პოპულარიზაციას.

KURGU SAHAF

საკონტაქტო პირი: ბენჯი ბერკსოი
მისამართი: ბეიოღლუ, სტამბოლო, თურქეთი
ტელეფონი: 00905352429863
ელ. ფოსტა: kurgusahaf@gmail.com

2002 წლიდან ვყიდით წიგნებს, ჩანაწერებს, ჟურნალებს და პოსტერებს ჩვენს მაღაზიაში, ბეიოღლუში. ჩვენი პროდუქციის ნახვა, რომელიც ასე უყვართ წიგნის მოყვარულებს, შესაძლებელია ონლაინ მაღაზიაში და ეროვნულ თუ საერთაშორისო ბაზრობებზე.

GEORGIAN LITERARY OUTREACH WORLDWIDE

საგამომცემლო პრიორიტეტი: ქართულენოვანი ნაწარმოებების ინგლისურენოვან მკითხველამდე მიტანა
საკონტაქტო პირი: ანა გაბუნია
მისამართი: ვირტუალური ოფისი
ტელეფონი: 551 599889
ელ. ფოსტა: Infocalliopebooks@proton.me

ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის შედეგად ქართული ლიტერატურის ხელშეწყობისთვის შექმნილი პროექტი "Georgian Literary outreach Worldwide " დაედო საფუძვლად გამომცემლობის შექმნას. მიზანი განათლებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა, ისევე როგორც სიახლის და ტრადიციული ფასეულობების სინთეზი.
უკვე გამოიცა ტრილოგია, რომელიც აბსოლუტურად ახლად წააკითხებს და გაცნობს ინგლისურენოვან მკითხველს საქართველოს ოქროს ხანის პოემა "ვეფხისტყაოსანს" ის არის დამოუკიდებელი საავტორო შრომის შედეგი და უამრავი კმაყოფილი.მკითხველის გამოხმაურება მსოფლიოს ირგვლივ კიდევ უფრო გვიმაღლებს მოტივაციას.
ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელოვნება სიახლის და თავისუფლების ძიებაა და ჩვენი გამომცემლობა აქცენტს სიახლესა და ნოვატორულ მიდგომაზე გააკეთებს.
წიგნები ხელმისაწვდომია როგორც წიგნის მაღაზიათა სხვადასხვა ქსელში საქართველოში, ასევე ონლაინ.

Qargo QARGO – ინტერნეტ მაღაზია

საგამომცემლო პრიორიტეტი:
საკონტაქტო პირი: დინა ნერსესოვა/ლინა ნერსესოვი
ტელეფონი: 574500550/555503550
ელ. ფოსტა: nersesova.dina@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100067822193836

კომპანია Qargo-ს ისტორია არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო,მაგრამ ძალიან მოკლე ხანში მოიპოვა მომხმარებლის სიყვარული თავისი ორიგინალური დიზაინებით და ხარისხიანი ნამუშევრებით. კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხი და მომხმარებლის კომფორტი, ამიტომ ყველა პროდუქციის შესაქმნელად იყენებს მხოლოდ საუკეთესო მასალას. Qargo-ს ასორტიმენტში არის როგორც ტანსაცმელი, ასევე ჩანთები და სხვადასხვა სახლის აქსესუარები. მაგ.ბალიშები ამოქარგულები მრავალფეროვანი დიზაინით.

TBILISI LITTLE MUNCHKINS

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო წიგნები: ინტერაქციული წიგნები, საგანმანათლებლო, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.
საკონტაქტო პირი: მაჰესვარი მანოჰარი
ტელეფონი: +995 511166354
ელ. ფოსტა: tbilisilittlemunchkins@gmail.com
ვებგვერდი: http://tbilisilittlemunchkins.com

Tbilisi Little Munchkins – ექსკლუზიურად საბავშვო ინგლისური წიგნების ონლაინ მაღაზიაა. ის მდებარეობს თბილისში.
ჩვენ მუშაობა დავიწყეთ დიდი ბრიტანეთიდან ჩამოტანილი ძალიან მცირე რაოდენობის მეორადი წიგნებით. ახლა კი თითქმის 2 წლის შემდეგ ჩვენ მოძხმარებელს ვთავაზობთ როგორც მეორად, ისე ახალ საბავშვო წიგნებს. ახალი წიგნები ჩამოგვაქვს ისეთი უდიდესი და საუკეთესო გამომცემლებისგან, როგორიცაა USBORNE და DK.
ჩვენს მაღაზიაში იპოვით წიგნებს ყველაზე პატარებისთვის, 2-3 წლის ასაკის ბავშვებისთვის, ინტერაქციულ და სენსორულ წიგნებს, საბავშვო მოთხრობებს, ილუსტრირებულ წიგნებს, საგანმანათლებლო წიგნებს (მათემატიკა/ინგლისური/მეცნიერება/გეოგრაფია), დამწყები მკითხველისთვის დამხმარე ლიტერატურას, 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის მრავალფეროვან ლიტერატურას და მრავალ სხვა ძალიან საინტერესო წიგნს.

TARI - ხელნაკეთი აქსესუარები

საგამომცემლო პრიორიტეტი: აქსესუარები
საკონტაქტო პირი: დინა ნერსესოვა
ტელეფონი: 574500550
ელ. ფოსტა: nersesov.dina@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/Tari.handmade

კომპანია Tari-ს ისტორია დაიწყო 20 წლის წინ.იმ დროს პოლიმერული თიხა არ იშოვებოდა საქართველოში, პატარა გოგოს კი ძერწვა მოსწონდა და მშობლებს მასალა ამერიკიდან გამოაწერინა. იქიდან დაიწყო ყველაფერი.ჯერ ბავშვური გატაცება, მერე ჰობი და შემდეგ საყვარელი საქმე რომელსაც პარალელურად შემოსავალი მოაქვს. ყველა ნამუშევარი ინდივიდუალურია, ყველას თავისი ხასიათი აქვს, ყველა განუმეორებელია, ყველაში ჩადებულია სიყვარული ამ საქმის მიმართ, ეს სიყვარული აუცილებლად გადაეცემა მყიდველს რომელიც შეიძენს ბროშს და ატარებს გულზე ან ჭიქას საიდანაც ყოველ დილას მიირთმევენ ყავას. დიდი იმედი გვაქვს, რომ ფესტივალზე შეძენილი ყველა ნივთი მოუტანს ბედნიერებას თავის ახალ მფლობელს.

საბაზისო განათლების პროგრამა

პრიორიტეტები: USAID საბაზისო განათლების პროგრამის პრიორიტეტია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარება, მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება კითხვასა და მათემატიკაში, რაც განაპირობებს განათლების საბაზო, საშუალო და ასევე, უმაღლესი განათლების საფეხურებზე უკეთეს აკადემიურ შედეგებს, უზრუნველყოფს პიროვნულ და პროფესიულ წარმატებას

მისამართი: 2, 26 მაისის მოედანი, თბილისი, საქართველო
ტელეფონის ნომერი: 571220331
ელ-ფოსტა: gprangishvili@rti.org
საკონტაქტო პირის სახელი, გვარი: გიორგი ფრანგიშვილი
უფლებების მენეჯერის სახელი და გვარი: ნენსი პარქსი
ვებ გვერდი: https://chemiskola.emis.ge/

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამა, რომელიც ხორციელდება სამმხრივი მიმართულების კვლევითი ინსტიტუტის (RTI) მიერ, მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობას წიგნიერების, მათემატიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისთვის. პროგრამა ხელს უწყობს ქართული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მშობლიური ენისა და მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამების სრულყოფას და სკოლებს უზრუნველყოფს მრავალფეროვანი რესურსებით.

რეპერტუარი

- ჯუნიჩირო ტანიძაკი. „ნაზი თოვა“
  ბლოგის ავტორი – **ნინო დოფიძე**

- კოლინ მაკალოუ. „ბარდნარის ჩიტები“
  ბლოგის ავტორი – **სესილი ერაგია**

- კლარის ლისპექტორი. „ველურ გულთან ახლოს“
  ბლოგის ავტორი – **ოლანი ბიწაძე**

- ანდრო ბუაჩიძე. „ტრამვაი, სახელად წარსული“
  ბლოგის ავტორი – **გურამ მგელაძე**

- ჯოან დიდიონი. „ჯადოსნური ფიქრის წელიწადი“
  მარიკე ლუკას რეინეველდი. „მძიმეა დღის ბოლო“
  ბლოგის ავტორი – **თემუკა ზოიძე**

ჯუნიჩირო ტანიძაკი

„ნაზი თოვა“

თარგმანი: **თათია მემარნიშვილი**

გამომცემლობა დიოგენე

ბლოგის ავტორი – **ნინო დოფიძე**

„ჰანამის (ჰანამი – საკურას ყვავილობით ტკბობა) მთელი ხიბლი მისი სილამაზით შორიდან ტკბობაა.“ იუკიკოს მომავალი მამამთილი.

ზოგჯერ კითხვა დაუმორჩილებლობის აქტია ყოველგვარი პირობითობების მიმართ, სწორად წარმართული კითხვა კი ყველაფრისგან დაგიცავს საკუთარი თავისგანაც კიო, – ამბობს დანიელ პენაკი წიგნში „რომანივით საკითხავი“ და ძალიან მიყვარს დანიელ პენაკიც და ეს ამბავიც. მიყვარს ლიტერატურის ჯადოსნური ძალა, მოგცეს ყველაფერი და იქცეს შენს მთავარ მცველად და საყრდენად. ჯილდოა მკითხველისთვის ასეთი საკითხავი, როგორც ჯუნიჩირო ტანიძაკის დიდი საგა „ნაზი თოვა“ და თუ რატომ ვფიქრობ ასე, შევეცდები ქვემოთ უფრო ვრცლად მოვყვე.

ავტორს წიგნის ერთ-ერთი მთავარი გმირის, საჩიკოს პროტოტიპად საკუთარი მესამე ცოლი, მაცუკო მორიტა ჰყოლია და ცოლის დებისგან კი დები მაკიოკების პერსონაჟები გამოიკვეთენ. რომანი აუკრძალავს სამხედრო ცენზურას, რომლის კვალი წიგნშიც ჩნდება თხრობის ბოლოს დღესასწაულების და სიხარულების, პომპეზურობის შეზღუდვების და აკრძალვების სახით, თუმცა მაინც გამოცემულა სამ ნაწილად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

„ნაზი თოვა“ დები მაკიოკების ამბავია. მათი თავგადასავალი ჩემთვის ყველაზე საინტერესო, შორეულ და იდუმალ ქვეყანაში ვითარდება და დებთან ერთად, მკითხველისთვის, ერთ-ერთი მთავარი ამბავი იაპონიაა, თავისი ყოფა-ცხოვრებით, წესებითა და ტრადიცი-

ებით, ქალაქებითა და ისტორიით. წიგნში ასახული ქვეყანა საუკეთეესო მასპინძელია და თავს კიდევ უფრო გაყვარებს. დები მაკიოკების საგვარეულო დიდება, მამის სიკვდილის მიუხედავად, არ გამქრალა, ხალხს ჯერ კიდევ ახსოვს მისი სიმდიდრე, სიუხვე და ხელოვნებისადმი სიყვარული და მფარველობა. მამას უფროსი ქალიშვილის, ცურუკოს ქორწილისას სამი სახელგანთქმული მხატვრისთვის დაუხატინებია იაპონიის სამი ცნობილი ხედი და სამფენიანი კიმონო შეუკერავთ. იუკიკოს ქორწილისთვის კი, რომელიც როგორც იქნა უნდა შედგეს, მრავალი მიაის (წყვილის გასაცნობი შეხვედრა) და წუხილის, ლოდინის შემდეგ, საჩიკოს ნახმარი კიმონოების ყიდვამ მოუწია, რადგან 7 ივლისის ბრძანებით შეიზღუდა ფუფუნების საგნების შეძენა და მამაც დიდი ხნის მკვდარი იყო.

ოთხი და: ცურუკო, საჩიკო, იუკიკო და თაეკო განსხვავებული და საინტერესო დები არიან. თითქოს წელიწადის ოთხ დროს ჰგავნან. ჩემი წარმოდგენით, მათ შორის უფროსი და ცურუკო ზამთარია, საჩიკო – შემოდგომა, იუკიკო – გაზაფხული, თაეკო კი – ზაფხული. დებს ერთმანეთი ძალიან უყვართ. განსაკუთრებით საჩიკოა ყველა მათგანის შემკრები, მოსიყვარულე, დედასავით მზრუნველი და თავისუფლების თვისებით ყველაზე უფრო შემკული. მისთვის მთავარი ბედნიერება ყველას კარგად ყოფნა და მშვიდი, მყუდრო დღეებია, როცა არაფერი აფერხებს ბედნიერებას, როდესაც ყველა ისე ცხოვრობს როგორც უხარია. რა თქმა უნდა მასაც აწუხებს „მთავარი სახლის," საკუთარი ოჯახის, მეგობრების, გარშემომყოფების, საზოგადოების აზრი, თუმცა ისე არა რომ პიროვნული თავისუფლება შეეზღუდოს ან მის ცხოვრებას რაიმე ჩრდილი მიადგეს. მის ამ სიმშვიდესა და ბედნიერებას საყვარელი მეუღლე, ტეინოსკეც განაპირობებს, რომელიც საჩიკოს მსგავსად თავისუფლებისა და ბედნიერების ადამიანია. მას ძალიან უყვარს საჩიკოს დები, მოსწონს მათზე ზრუნვა და დიდ სინაზეს იჩენს მათთან ურთიერთობაში. ცხადია საჩიკოს და ტეინოსკეს თანაცხოვრებას სიძნელეებიც ახლავს, მაგრამ თითქმის უმნიშვნელო, რადგან მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ, ჰყავთ შესანიშნავი ქალიშვილი ეცუკო, გულწრფელები არიან, სიმდიდრე არაა მათთვის სიხარბე, სიცოცხლით ტკბობა ყველაზე კარგად ეხერხებათ.

თაეკო, ყველაზე პატარა და ყველაზე თანამედროვე დაა, დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვის და ებრძვის მოძველებულ, ოჯახურ ტრადიციებს, რომელიც ავალდებულებულებს დაემორჩილოს უფროს

დას და სიძეს, ე.წ. მთავარ სახლს, მათი მითითებით გადაწყვიტოს რა უნდა მომავალში, გათხოვება თუ დიზაინერობის სწავლა პარიზ-ში. თაეკოს განსაკუთრებულად უყვარს დასავლური წეს-ჩვეულებები, ჩაცმულობა და მათი თავისუფლება და არაფერს იშურებს იმისთვის, რომ თავგადასავლებში გადაეშვას, თუმცა ასევე არ ივიწყებს ძველ, იაპონურ ტრადიციებს, არც მისგანაა დაშორებული და სწავლობს იამამურას ცეკვას, რომელიც ძალიან ტრადიციული და განსაკუთ-რებულია როგორც ჩაცმულობით ისე წარმოდგენით და თაეკოს შეს-რულებული ცეკვა „თოვლი“ ისეა აღწერილი, სინაზით და ცოცხლად, რომ ნამდვილად ნანახი მგონია რომ მაქვს. აქვე არ მასვენებს ერთი ფიქრი, თაეკოს ხასიათი თუ არ მიგვანიშნებს უნდა მიგვა-ნიშნებდეს ავტორის სურვილს, რა ურჩევნია მას და მგონია რომ მისთვისაც ორივე კულტურის არსებობა ყველაზე კარგი პოზიცია იქნებოდა, დასავლურის გათვალისწინება, რასაც ვერაფერი შეაჩე-რებს და ძველი, იაპონური ტრადიციების დაცვა და მოფრთხილება, რაც ერთმანეთს ხელს ვერ და არ შეუშლის. მთავარი შიში ხომ ესაა ხოლმე, რომ სიახლე ძველს გაანადგურებს.

დებიდან ყველაზე მეტად მაინც იუკიკო მომწონს, მისი ძალიან ჩუმი, მორიდებული, უთქმელი ხასიათის, კითხვის სიყვარულის გამო, ამოვიწერე კიდეც მისი წაკითხული წიგნები: ბაირონის პოემა „ში-ლონის ტყვე,“ ანატოლ ფრანსის ნოველები და დაფნა დიუ მორიეს „რებეკა.“ იუკიკოს ძალიან უყვარს ოსაკა და საჩიკოსთან ერთად ცხოვრება, მაგრამ მორჩილება ტოკიოში წაიყვანს, უფროსი დის ცურუკოს და მისი მეუღლის მოთხოვნით, რომლებსაც ევალებათ უმცროს დებზე ზრუნვა, მათი გათხოვება, და ეს ეთვლებათ მთავარ მოვალეობად. იუკიკო საჩიკოს დახმარებით მაინც ახერხებს ტოკი-ოსგან თავის დაღწევას, მაგრამ ზოგჯერ ძალიან მაბრაზებდა მისი სიჩუმე და სურვილებზე უარის თქმა.

ძალიან დიდი ხელოვნებითაა აღწერილი და მოთხრობილი თი-თოეული პერსონაჟი, მათი ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისწრა-ფებები და ცხოვრების ფაქიზი, პოეტური სტილი. ერთ-ერთი გამო-რჩეული პერსონაჟია საჩიკოს მსახური ო-ჰარუ. მისი ერთგულება და მისდამი ბატონების, საჩიკოს და ტეინოსკეს დამოკიდებულება ჩემთვის ძალიან ამაღელვებელია. მათ ო-ჰარუ უყვართ, ენდობიან, ახლობლად და თანასწორად მიიჩნევენ და ისევე ზრუნავენ მასზე, როგორც ოჯახის წევრზე.

ძირითადად წიგნის პერსონაჟებზე საუბარს შევყევი, მაგრამ მათი ცხოვრება გვიყვება წიგნის სათქმელს, მის სურვილს შეინარჩუნოს ქვეყნად სიფაქიზე, პოეტურობა, რომანტიკა, სიცოცხლით ტკბობა (რაც უკვე ალბათ მეორეჯერ ვახსენე და არ ვთვლი რომ ზედმეტია), წმინდა იაპონური ხასიათი, რომელმაც იცის სიცოცხლის, ბუნების, დღის ფასი, ჰანამით (საკურას ყვავილობის პერიოდი) ტკბობის რიტუალი და ტრადიცია აქვს და მთელი რიგი დღესასწაულების ბუნების ძალის, მშვენიერების აღსაქმელად და გასააზრებლად. ვგულისხმობ თუნდაც საჩიკოს და ტეინოსკეს სიმწვანის საყურებლად წასვლას ნარაში და წვიმის წვეთების ხმაურის სავანეში განმარტოებას და იმას, როცა შეგიძლია ასეთი სახელი დაარქვა სავანეს და დააწერო ალაყაფს „წვიმის წვეთების ხმაურის სავანე.“

ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელი, რაც იკვეთება და რასაც ასეთი დიდი ლიტერატურა ადასტურებს ხოლმე ისაა, რომ სამყარო ერთი მთლიანობაა, უხილავი თუ ხილული კავშირებით და ადამიანი მის დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ნაწილში ბედნიერებისთვის, თავისივე წარმოდგენილი ბედნიერებისთვის იბრძვის, მიისწრაფვის, მიემართება და სულ ერთნაირი, მსგავსი ნაბიჯებით, განსხვავებული ფერებითა და ხასიათით, სიმაღლითა და სიდაბლით და ზუსტად ეს განსხვავებულობაა მამოძრავებელი ძალა.



კოლინ მაკალოუ

“ბარდნარის ჩიტები”

მთარგმნელი:

ეკატერინე მაჩიტიძე, თამარ კოტრიკაძე

გამომცემლობა წიგნები ბათუმში

ბლოგის ავტორი - **სესილი ერაგია**

მზად ხართ იმოგზაუროთ ვარდის სურნელით გაჟღენთილ დროჰედაში და მის მკვიდრებთან ერთად გაუძლოთ ყველა ქარტეხილს, გვალვასა და წყალდიდობას? არც ბუზებს, ქვეწარმავლებსა თუ ულმობელი ბედის ტრიალს შეუშინდეთ და ბოლომდე ერთგულად დაუდგეთ კლირებს? მაშ, ეს წიგნი თქვენთვისაა!

ავსტრალიელი მწერლის კოლინ მაკალოუს რომანი „ბარდნარის ჩიტები“ (1977) მეტწილად ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელიც საკმაოდ მრავლისმომცველია. პირველ გაფიქრებაზე, თუ რის შესახებაა ეს წიგნი, უმალ იტყვით – სიყვარულზეო, თუმცა „ბარდნარის ჩიტები“ სულაც არ გახლავთ უბრალო სიყვარულის ისტორია, იგი მთელი ეპოქაა – დიდი დეპრესიით, II მსოფლიო ომით, ოჯახური უთანხმოებებითა და ფერმერთა ყოველდღიურობით. საოცარია, როგორ მოახერხა ავტორმა ასე დეტალურად და საინტერესოდ აღეწერა, როგორც პერსონაჟთა განცდები, ისე ავსტრალიის ლანდშაფტის თავისებურებები, ტაძართა არქიტექტურა თუ იურიდიული დოკუმენტები! მწერლის ოსტატობისა და შესანიშნავი ქართული თარგმანის წყალობით, მოცულობის მიუხედავად, მკითხველი სულმოუთქმელად კითხულობს ამ სულისშემძვრელ ოჯახურ საგას და წიგნში ცხოვრებას იწყებს, რაც, რასაკვირველია, მისთვის უკვალოდ არ ჩაივლის. აქვეა, წიგნის კითხვით გამოწვეული რამდენიმე გვერდითი მოვლენა, რაც თითოეული მკითხველისთვის ინდივიდუალური შეიძლება იყოს და იმთავითვე უნდა გაითვალისწინოს:

1. რეალობის აღქმის დაკარგვა და სიუჟეტით სრულად შთანთქმა.
2. დაძინების უუნარობა, ვინაიდან მკითხველს არ ასვენებს დარდი პერსონაჟთა ბედზე.

3. სიზმრები, რომელთა მოქმედი პირნი არიან წიგნის გმირები და თავად მკითხველი (პირადი გამოცდილებიდან: ეს უკანასკნელი, მეტად სასიამოვნო რამ გახლავთ!).

კოლინ მაკალოუ კლირების ისტორიას მოგვითხრობს – ამაყი, დაუმონებელი ხალხის ამბავს, რომელთა თვალზე ცრემლი არავის უნახავს, იმისდა მიუხედავად, რომ მათი არსებობა ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა. და მაინც, კლირების ოჯახი ერთიანობას მოკლებული, ერთგვარად შეუკავშირებელი სხეულია. იგი ერთ ოთახში განგებ გამოკეტილ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფს მაგონებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო.

რომანს რამდენიმე პროტაგონისტი ჰყავს, მათ შორის კი მეგი კლირი და რალფ დე ბრიკასარი უდავოდ მოწინავე პოზიციებს იკავებენ. მკითხველი თვალს ადევნებს პერსონაჟთა, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ ზრდას; მათი ხასიათისა თუ დამოკიდებულებების ცვლილებას და უბრალოდ – ცხოვრების მდინარებას.

მეგისა და რალფის – ამ ორი ტრაგიკული პერსონაჟის ბედი უსაშველოდ მტკივნეულად იხლართება ერთმანეთში, მათ ხომ აკრძალული გრძნობა – მღვდლისა და ქალის სიყვარული აკავშირებთ... კათოლიკური წესების მიხედვით, მღვდელს არც ცოლის შერთვის უფლება აქვს და არც დადებული აღთქმის უარყოფისა და ეკლესიისგან განრიდების საშუალება, ამგვარად, არჩევანი არ არსებობს. არასწორ დროსა და ვითარებაში გაფურჩქნილი სიყვარულის ვარდი, იქვე უნდა დაჭკნეს და ჩაიფერფლოს, მაგრამ რამდენად რეალური და შესაძლებელია ეს? „კაცი ვარ, ღმერთი ვერ ვიქნები. ღმერთკაცობის ძიება შეცდომა იყო. (...) მეგი მისი აღზევება და დაცემა იყო, მისი შესაქმე.“

„ბარდნარის ჩიტები“ ყველაზე ნათლად გვანახებს, რომ ცხოვრება, არაფერია, თუ არა ბუმერანგი, რომელიც ადრე თუ გვიან ყოველ ჩვენგანს მიუბრუნდება. ვიძენთ რამეს? – ეჭვი არაა, რომ ცხოვრება მას უმალ გამოგვტაცებს.

„იქნებ ჯოჯოხეთი სწორედ აქაა – მიწიერი უდაბნოს ხანგრძლივ ტყვეობაში? იქნებ ჩვენ-ჩვენი ჯოჯოხეთის ატანა სიცოცხლეშივე გვიწევს...“

წიგნში მრავალ პრობლემურ თემასთან ერთად, წამოწეულია ქალთა აღიარების საკითხი. ვიქტორიანული ეპოქის მიერ ქალის როლის გაუფერულება, რომანშიც იკვეთება, განსაკუთრებით მძაფრად კი მაშინ წარმოჩნდება, როცა ახალშობილი, ვაჟის ნაცვლად გოგონა აღმოჩნდება (ნამდვილ კაცად ხომ ის მიაჩნდათ, ვინც ვაჟებს ზრდიდა!) „რას წარმოადგენს დედისთვის ქალიშვილი? მას, ვინც საკუთარ ტკივილს, საკუთარი ახალგაზრდობის ანარეკლს ახსენებს

და გაივლის იმავე გზას, რომელიც თვითონ გაუვლია? რომელიც მასავით დაღვრის ცრემლებს? არა, მამაო! ვცდილობ დავივიწყო, ქალიშვილი რომ მყავს, და თუ მაინც ვფიქრობ მასზე, ვფიქრობ ისე, როგორც ვიფიქრებდი ვაჟიშვილზე. ვაჟიშვილები – აი, ვინ არ ავიწყდება დედას.“

წიგნის მრავალფეროვან პერსონაჟთა შორის, ფიონას გამოვარჩევდი. ქალს, რომელიც მთელი ცხოვრება სხვისთვის და სხვისი ინტერესებისთვის ცხოვრობდა; რომელმაც გრძნობები ჩაიკლა, გულგრილობის ნიღაბი აიფარა და ვერც შვილების შეყვარება შეძლო სათანადოდ... შეუძლებელია გვერდი ავუარო ფრენკს, რომელიც ვერ შეეთვისა ოჯახს და მშობლიურ ფესვებს მოწყდა, რათა გაუბედურებული კვლავ დაჰბრუნებოდა მას. პეტსი, რაინერი, ჯეიმსი – ისინი, ჯერ კიდევ ბავშვები ემსხვერპლნენ ომს, თუმცა არც ერთი მათგანი არ მომკვდარა. ზოგი სულიერად განადგურდა, ზოგი სამუდამოდ დასახიჩრდა.

„ბარდნარის ჩიტების“ პერსონაჟები, – როგორც ერთ-ერთი მათგანი ამბობს – ისე ქრებიან, რომ ანთებას ვერც ასწრებენ. რა რჩება მათგან? ან რა რჩებათ თავად მათ განვლილი ცხოვრებიდან? მოვალეობები, მოვალეობები, მერე კი... მერე ცხოვრება მთავრდება. მოსაგონარიც კი არაფერია.

„გზის სირთულეებს სრულად მხოლოდ ის იცნობს, ვისაც ფეხი დაუსხლტა და დაეცა“. პერსონაჟებს ყოველივე ეს საუკეთესოდ მოეხსენებათ და ისიც იციან, რომ ბედნიერება ტანჯვის გარეშე არ მიიღწევა, სწორედ ამიტომ სჩადიან თვითმკვლელობის ტოლფას საქმეებს და წუთითაც კი არ იხრიან წარბს. დასკვნა ერთია – „საუკეთესო ადამიანებს რატომღაც ყველაზე მეტი ტანჯვა ხვდებათ წილად“.

მეგიცა და რალფიც დაბადებულიყვნენ იმისთვის, რომ ყველაფერი ის, რაც უყვარდათ და ვინც ეძვირფასებოდათ, თანდათანობით, მტკივნეულად გამოსცლოდათ ხელიდან და დაეკარგათ. ისინი, იმ ძველი კელტური ლეგენდის ჩიტები იყვნენ, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ეხლებოდნენ ეკალს და დასისხლიანებული მღეროდნენ იმ ერთადერთ სიმღერას, რომლის ფასი მხოლოდ თავად უწყოდნენ... „ეკალი გულს რომ უგმირავს, სიკვდილის მოახლოებას ვერც კი ამჩნევს: მანამ გალობს, ვიდრე ბგერების ამოთქმის ძალა შესწევს. მაგრამ ჩვენ, გულში ეკალს რომ ვისობთ, გვესმის, რასაც ვაკეთებთ. ყველაფერი ვიცით, მაგრამ გულს მაინც ვიფლეთთ. მაინც ვგალობთ.“

...

ვარდი. ფერფლი. ვარდის ფერფლი.

ღმერთო, მაინც რა ლამაზი იყო ეს სიყვარული...

კლარის ლისპექტორი

„ველურ გულთან ახლოს"

მთარგმნელი: **ნინო ლორთქიფანიძე**

სულაკაურის გამომცემლობა

ბლოგის ავტორი – **ოლანი ბიწაძე**

ბრაზილიელი მწერლის კლარის ლისპექტორის რომანის „ველურ გულთან ახლოს" მთავარ პერსონაჟს ერთ-ერთ ეპიზოდში ბავშვობაში მამის მიერ საგანგებოდ მისთვის დაწერილი ლექსი ახსენდება:

„გვირილა იას იცნობდა.

ერთი – ბრმა, ერთიც – გიჟი.

ბრმას შეშლილის ხმა ესმოდა და ლაპარაკი მისი,

ბოლოს კი ის დაინახა, რაც სხვამ არავინ იცის..."

მართალია, მამამ ჟოანას ეს ლექსი უბრალოდ გასართობად დაუწერა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ სტრიქონებში შეიძლება იკითხებოდეს კონკრეტულად ამ ტექსტის პროტაგონისტის მთავარი ცხოვრებისეული ამოცანის პირობა, ზოგადად კი კაცობრიობის მარადიული საფიქრალი: ვინ არის ადამიანი – ის, ვისაც სხვები ხედავენ თუ ის, ვისაც თავად ხედავს საკუთარ თავში.

„ველურ გულთან ახლოს" ცნობიერების ნაკადის რომანია, შინაგანი მონოლოგებით დაწერილი და მიუხედავად ამისა, მკაფიოდ სტრუქტურირებული საიმისოდ, რომ წარსულსა და აწმყოში, ბავშვობასა და ზრდასრულობაში წარმართულ ნარატივში არა მარტო პერსონაჟ(ებ)ის იდეოლოგიური დილემები გამოიკვეთოს, არამედ მათი გამომწვევი შესაძლო მიზეზები. ჟოანა ჯერ კიდევ მცირეწლოვან ასაკში კარგავს მშობლებს, მოგვიანებით გოგონაზე უარს ამბობენ აღმზრდელი ბიცოლა და ბიძა, საბოლოოდ კი მისგან მიდის ქმარიც. თუმცა, არცერთი „წასვლა" ჟოანასთვის არ აღიქმება „მიტოვებად", არამედ არჩევანად, რომელიც მან თავად გააკეთა, ბიძგად, რომლის გამომწვევიც თვითონვე იყო. შეიძლება ასეც ითქვას: ჟო-

ანას აქვს კითხვები და ვიღაცების „წასვლა“ ზოგჯერ ამ კითხვების უზუსტესი პასუხებია.

ლიტერატურულ ნაწარმოებზე მსჯელობისას რომან ინგარდენი აღნიშნავს, რომ ტექსტის საგნობრივი შრე ყოველთვის შეიცავს „განუსაზღვრელობით ადგილთა“ წყებას, რომელთა რეკონსტრუირება და კონკრეტიზება მკითხველის ამოცანაა. რეცეფციული ესთეტიკის საფუძვლად ქცეული ცნებების მოხმობა მართებული იქნება კლარის ლისპექტორის რომანის განხილვისასაც, რადგან ტექსტი სწორედ ინგარდენისეული „განუსაზღვრელობითი ადგილების“ ერთობლიობაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათგან ნაწილის განსაზღვრა, კონკრეტიზება პროტაგონისტის მისიაა, ნაწილისა კი – მკითხველის. ერთი მხრივ, წარსულიდან მომზირალი და აწმყოში გაჭედილი ჟოანა ცდილობს კითხვების ქაოსის დალაგებას, მეორე მხრივ კი, ჟოანას წარსულსა და აწმყოზე, მის ცნობიერსა თუ ქვეცნობიერზე ორიენტირებული მკითხველი აღადგენს იმას, რამაც ადამიანის რეალური სახე, მისი დანიშნულების მკაფიო სურათი უნდა მოგვცეს. ცხადია, ეს მარტივი გზა არაა, რადგან საკუთარი თავის პოვნის გზა ყოველთვის იმდენად ვიწრო ბილიკებზე გადის, რომ შეიძლება მათზე სიარულისას საბოლოო დანიშნულებამდე მისვლის მნიშვნელობა დაგავიწყდეს, ან უარესი – რაღაცის პოვნის სურვილით შეიარაღებული, შენგან დამოუკიდებლად, განიარაღდე. ჟოანას გზის ვიწრო ბილიკები ზოგჯერ კითხვების სახით ფორმულირებული დილემებია, ზოგჯერ – მარადიულად თანმდევი წარსულის მოგონებები, აუხსნელი სურვილები, სხვების ცხოვრებაში საკუთარი როლის განსაზღვრის მცდელობები და ა.შ. ამ ბილიკების „სივიწროვე“ კი სწორედ პერსონაჟისა და მკითხველის რეკონსტრუქციისა და კონკრეტიზაციის უნარის მოშველიებით შეიძლება „გაფართოვდეს“.

ბედნიერების არსი: მიზანი თუ საშუალება? – ერთხელ ჟოანამ მასწავლებელს ჰკითხა: „რის მისაღწევად არის საჭირო ბედნიერად ყოფნა?“ მართალია, მასწავლებელს მისთვის არ უპასუხია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ კითხვის დანიშნულება მთელი რომანის განმავლობაში სწორედ კითხვით წინადადებად ყოფნაა, მისი ექო ტექსტის ყველა ნაწილში ისმის, თითქოს ყველაფერი, რასაც ჟოანა აკეთებს და ამბობს, სწორედ იმას ემსახურება, რომ ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვროს: ადამიანებს გვჭირდება, რომ ბედნიერები ვიყოთ, თუ ბედნიერება იმისთვის გვჭირდება, რომ კიდევ სხვა რაღაცას მივაღწიოთ? ვფიქრობ, ჩვენი მთავარი პრობლემა სწორედ ბედნიერების არსის ბინარულობაა, რადგან სანამ ბედნიერებას არ მივაღწევთ, მანამდე არ ვიცით, რომ მას მეორე მხარეც აქვს. და

წარმოიდგინეთ იმ გოგონას მდგომარეობა, რომელიც ამ კედელს ჯერ კიდევ ბავშვობაში ეჯახება, თუმცა ჟოანას ძალა სწორედ იმაშია, რომ ის არ ცდილობს, კედელი გაანგრიოს, მასში გავლას ცდილობს.

წერტილი განზომილების გარეშე – მარტოობის მაქსიმუმი – მარტოობის გარდაუვალობის გაცნობიერებას ადამიანების უმრავლესობა სასოწარკვეთილებამდე, ნებისმიერი გზით მარტოობისგან გაქცევის მცდელობებამდე მიჰყავს, ჟოანა კი მარტოობისგან კი არა, მარტოობისკენ გარბის, რასაც ბავშვობაში რამდენადმე გაუცნობიერებლად, მოგვიანებით კი თვითნებურად აკეთებს. არ ეწინააღმდეგება ინტერნატში მისი გაგზავნის იდეას, ერთადერთ ნაცნობებთან დაშორებას, მაგრამ ასე იმიტომ იქცევა, რომ სინამდვილეში ობოლმა ჟოანამ უკვე კარგად იცის საკუთარი მარტოობის გარდაუვალობის, იმის შესახებ, რომ ნაცნობებთან ყოფნა არ გამორიცხავს მარტოობის, სხვების მიერ შენი ვერგაგების, ვერმიღების შეგრძნებას. მოგვიანებით ჟოანა ოტავიოს (ქმარს) ეტყვის: „გიფიქრია, რომ წერტილი, ერთადერთი წერტილი განზომილების გარეშე, მარტოობის მაქსიმუმია? წერტილს თავის თავის იმედიც კი არ შეიძლება ჰქონდეს. ასეა თუ ისე, საკუთარი თავის გარეთაა.“ ჟოანა ხვდება იმას, რასაც ადამიანები, როგორც წესი, ან ვერ ხვდებიან, ან მიხვედრისთანავე ივიწყებენ. შეიძლება ითქვას, რომ რიგითი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებები მეგობრების გაჩენის, კარიერის აწყობის, დაქორწინების, შვილების ყოლისა თუ სხვათა შესახებ სწორედ ამის დავიწყების მცდელობაა, საკუთარი თავის გარეთ ყოფნის შიშით გამოწვეული სადღაც მყოფობა, ვიღაცებთან მყოფობა. და მიუხედავად იმისა, რომ ჟოანაც ქორწინდება, შვილის ყოლის ინიციატივა უჩნდება, მას გაცნობიერებული აქვს, რომ წერტილია განზომილების გარეშე. წერტილი, რომელსაც საკუთარი თავის იმედიც არ აქვს.

საკუთარი თავის უგულებელყოფა, როგორც თვითრეალიზების შესაძლებლობა – ჟოანას ისტორია სხვების მიერ მისი უგულებელყოფის ისტორიაა. მასზე უარს ამბობდნენ გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად, რადგან ნებისმიერი ფორმით მისგან წასვლა, იქნება ეს გარდაცვალება თუ ინტერნატში გაგზავნა, გოგონას თავს უგულებელყოფილად აგრძნობინებდა. თუმცა ჟოანას სჯერა, რომ „მარტოობა იქიდან მოდის, რომ ყოველ სხეულს უსათუოდ საკუთარი დასასრული აქვს... სიყვარული სიკვდილში წყდება...“ ამიტომაცაა, რომ მას არ ეშინია არც იმის, რომ მასზე სხვები ამბობენ უარს, არც იმის, რომ თავად თქვას უარი სხვებზე და მეტიც, უარი თქვას საკუთარ თავზე. ფურცელზე საგანგებოდ ჩაწერილ წინადადებას – „პი-

როვნება, რომელიც საკუთარ თავს უგულებელყოფს, უფრო სრულად ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას“ – ჟოანა გონებაში კითხვას უსვამს: სიმართლეა თუ ტყუილი? ერთადერთი, რითაც ამ ფრაზის ჭეშმარიტება შეიძლება შემოწმდეს, მისი რეალობაში განხორციელება, საკუთარი თავის უგულებელყოფაა. ჟოანა ასეც იქცევა და მკითხველი, რომელიც მორიგი კითხვის პასუხის კონკრეტიზებას ცდილობს, ჟოანას ნაცვლად ასკვნის: სიმართლეა, სიმართლე!

ერთი ცხოვრების ტრაგედია – ვიღაცამ თქვა, ყველაზე ნაკლები, რაც ადამიანებს აქვთ, დროა და მაინც, ისე ვიქცევით, თითქოს დრო ყველაზე მეტი გვქონდესო. ცხოვრებისეული დროის მიმართ ჟოანას დამოკიდებულება მფლანგველური ნაკლებადაა, თუმცა არც ბოლომდე გაცნობიერებული. ჟოანა მხოლოდ რომანის დასასრულს იაზრებს, რომ მარტო ერთი ცხოვრება აქვს და ისიც ხელიდან უსხლტება. ამ „აღმოჩენამდე“ მისვლას წინ უსწრებს მთელი რომანი, რომლის დასასრულიც, რაღაც მხრივ, პერსონაჟ ჟოანას დასასრულიცაა, თუმცა არ გამორიცხავს მკითხველის ინტერპრეტაციაში მისი მომავლის რეკონსტრუქციას. სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჟოანა, რომელიც ერთი ცხოვრების, ერთხელ ცხოვრების ტრაგედიითაა შეძრული, აუცილებლად იპოვის ღმერთს, რადგან მის საპოვნელად მთავარი ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვს – მან ღმერთს მოუხმო – მაგრამ ეს ღმერთი არ იქნება რელიგიური სუბსტანცია, არამედ ღმერთი საკუთარ თავში და ჟოანა კი აღარ იქნება „ღამე ვარსკვლავების გარეშე“, არამედ ფეხზე წამომდგარი „ლამაზი და ძლიერი კვიცი“.

ჟოანას ცხოვრებისეული გზის ბოლოს, ტექსტის დასასრულს იკვრება ნაწარმოების ეპიგრაფად გამოტანილ ფრაზაში ჩამოთვლილი სამეული: „ის იყო მარტო. უგულებელყოფილი, ბედნიერი, ცხოვრების ველურ გულთან ახლოს.“ ჩვენ ჟოანასთან ერთად გავდივართ ვიწრობილიკებიან გზას, რომანის საგნობრივი შრეების აქტუალიზებით ვამჟღავნებთ დაფარულ ადგილებს, შევიგრძნობთ მარტოობის, უგულებელყოფილობისა და ბედნიერების ძალას. ზუსტად ასე ვუახლოვდებით ცხოვრების ველურ გულს: ბოლოს კი მას დავინახავთ, რაც სხვამ არავინ იცის.



ANDRO BUACHIDZE

„TRAMVAI, SAKHELAD WARSULI“

GAMOMCHEMLOBA INTELEKTI

ბლოგის ავტორი – **გურამ მგელაძე**

„უნდა მოძებნო ხსოვნის ნაფლეთები და შეაწებო,
ფაქიზად შეაწებო, რომ შენს არსებობას აზრი დაუბრუნო,
აზრი დაუბრუნო ყველაფერს, რაც დაგეფანტა და გაგებნა,
რადგან ყველაზე ძნელი უაზრობაა, რომელიც თანდათან
ადამიანივით გიახლოვდება და მხრებზე გაწყობს სველ ხელებს...“

ანდრო ბუაჩიძე, „ცარიელი ოთახი“

ანდრო ბუაჩიძის მოთხრობებისა და ლიტერატურული პორტრეტების კრებულის „ტრამვაი, სახელად წარსული“ კითხვისას მისივე ლექსის ერთი ფრაზა ამეკვიატა: „მე ვმოგზაურობ ახლა ჩემს ვრცელ მახსოვრობაში“... ცხადია, შემთხვევით არ ქცეულან ეს სიტყვები წიგნის ერთგვარი ფარული ინტონაციის, ტემპორიტმის განმსაზღვრელ რეფრენად. ყოველი მოთხრობა ხომ წარმოადგენს მედიტაციას ხსოვნაზე, მეხსიერებაზე და ზოგადად, დროზე, დროის სტრუქტურაზე, მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანატომიაზე.

კრებულში წარმოდგენილი მოთხრობების მთავარი პერსონაჟი (ის თავისი პოლისემანტიკური ბუნებით გაცილებით მეტია, ვიდრე მწერლის პიროვნული თვისებების ერთგვარი მხატვრული სიმულაკრი) ფაქიზი სულიერი წყობის ლირიკული სუბიექტია, მტკივნეულად, მთელი სიმძაფრით რომ განიცდის ყოფიერების აბსურდულობას, ყოფიერების სიხისტეს... აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თხრობაში შეჟონილია მელანქოლიის, მოწყენილობის, გარინდებისა და ლირიზმის ძლიერი ნაკადი, რაც განსაზღვრავს კიდეც კრებულის

კომპოზიციურ მთლიანობას და ამბის დრამატურგიული ხაზების კალაპოტს. აქ მოთხრობილი ისტორიების ტრაგიკომიკურ ბუნებასა და ეგსისტენციალური სკეფისის განცდას მწერლისეული ხედვის წერტილი, მისი ინტროსპექციული ბუნება განაპირობებს.

ხშირია ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებების და რთულად ასახსნელი, სახელშეურქმეველი ემოციური მდგომარეობების მოხელთების მცდელობები. მაგ. სადარბაზოში არსებული ნაღვლიანი ბურუსი და ამ ბურუსის ნოტიო მდუმარება, ზაფხულის მოთენთილი და ტკბილი სიზანტე, დაქსელილ ძარღვებში რომ გივლის და თვლემას გგვრის, ქალაქური შემოღამებები, ჩრდილების წრიალი, ხეების შრიალი და რაღაცნაირი „ფხიზელი“ გარინდება.

ანდრო ბუაჩიძისეული ურბანისტული აღწერები ზღვარზეა რეალობასა და ირეალობას შორის, რაც კიდევ უფრო მეტ იდუმალებას სძენს მის ტექსტებში ასახულ ქალაქს. ხშირია გროტესკული გარდასახვები (მძაფრად ექსპრესიონისტული ტონალობები, რამაც ედუარდ მუნკის ფერწერული ტილოები მომაგონა), რაც უკვე ოთხმოცდაათიანების თბილისის ამბებში მუღავნდება. ქალაქი დაცარიელებულ საიქიოს ჰგავს თავისი შემზარავი ღამეებით და კოშმარის მეტაფიზიკური განზომილებით...

* * *

„იქნებ ადამიანი მთელი თავისი არსებით მახსოვრობაა და მეტი არაფერი. ოღონდ ეს მახსოვრობა შეგრძნებებისგან შედგება და ეს შეგრძნებები უსასრულოა და როცა ადამიანები ქრებიან, შეგრძნებებიც წყვეტენ ნათებას.“ – აი, ასეთ თვალსაზრისს ვხვდებით პირველივე მოთხრობაში. მართლაც, რომ დავაკვირდეთ, კრებულს ხსოვნის აკლდამაც შეიძლება ეწოდოს, ოღონდ მასში ასახული ემოციური ნაკადის სიტყვებად გარდასახვას და სხვადასხვა ასაკთან თუ ხასიათის შტრიხთან „შედუღაბებული“ ამბივალენტური მდგომარეობების, ქცევების აღწერას უბრალო მხატვრული რეკონსტრუქციის ფუნქცია არა აქვს. ის განცდითია იმდენად, რამდენადაც თავის არსში გულისხმობს კათარტულ ასპექტს, როგორც მთხრობელისთვის, ასევე მკითხველისთვისაც. ამით იმის თქმა მინდა, რომ თითოეულ მოთხრობაში ასახული ამბავი (დავარქვათ მას შეგრძნებების ნარატივი) თავისივე თავის დამკვირვებელია. საკუთარი ცნობიერის (ხშირად ქვეცნობიერის) წიაღში ჩაბრუნებულ მზერას მტკივნეული სიშიშვლით ამოაქვს „ბნელ ხვეულებში მიძინებული ამოუცნობი ქი-

მერების“ ხსოვნის ნაფლეთები... გახსენების პროცესი მტკივნეულია იმდენად, რამდენადაც თხრობა თავისთავად გულისხმობს საჯაროობის, ხილვადობის რადიუსის ზრდას. შედეგად, ის რაც მეტად ინტიმური, პერსონალური და კამერულია ხდება სხვების ინტერპრეტაციის, განხილვის, ანალიზის საგანი, თუმცა ანდრო ბუაჩიძისეული ამბები დაცლილია ყოველგვარი ხმაურისგან, ეპატაჟისგან, რადგან ყოველი მათგანი ქვრეტით-მედიტაციური ხასიათისაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენგან კითხვის სპეციფიკურ სტრატეგიას, მეთოდს მოითხოვს. აქ არ უნდა აჩქარდე, არ უნდა აქოშინდე, არ უნდა წაბორძიკდე, რათა სრულფასოვნად შეიცნო (შეიგრძნო!) ყოველი მოთხრობის იდუმალი, ქვეტექსტუალური მუსიკა და ლირიზმის ნათება, მისი მაცოცხლებელი ენერგია.

* * *

ემილ ჩორანი თავის საკულტო წიგნში „ქვეყნად მოვლენის უსიამოვნებაზე“ დროის სპეციფიკურ აღქმაზეც ამახვილებდა ყურადღებას: „ბავშვობიდან ვგრძნობდი საათების სვლას, თავისუფალს ყველანაირი კავშირისგან, ყველა ქმედებისა და მოვლენისაგან, დროის განცალკევებას იმ ყველაფრისაგან, რაც ის არ იყო, მის ავტონომიურ არსებობას, მის განსაკუთრებულ სტატუსს, მის იმპერიას, მის ტირანიას. ცხადზე ცხადად მახსოვს ის შუადღე, როცა დაცარიელებული სამყაროს წინაშე პირველად ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ დაუმორჩილებელ წამთა რბოლა, რომლებიც საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდნენ. დრო ჩემს ხარჯზე სცილდებოდა ყოფიერებას.“ აშკარაა, რომ განცდის ამგვარი სიმძაფრე მოდერნისტული ცნობიერების პირმშოა, კრიზისული ეპოქის გამოხატულებაა, პიროვნების შინაგანი სულიერი ლანდშაფტის ანარეკლია.

ანდრო ბუაჩიძისეული დრო, ჩორანის მსგავსად, ხედვის უჩვეულო რაკურსში „იშიფრება“, ხოლო წარმოსახვის გამღიზიანებლებად, უმეტეს შემთხვევაში, დროის ქარტეხილის გამო სახეცვლილი ქალაქი უბანი, შენობები, ნივთები თუ ადამიანები გვევლინებიან. პროტაგონისტი ოდისევსივით დაეხეტება მეხსიერების ბნელ ტალანებში, ქვეცნობიერის ცხრაკლიტულში, თავის პერსონალურ ჰადესში, რათა ხსოვნის ნაფლეთების „შეწებების“, „შენივთების“ მეშვეობით, წარსულში ჩაკარგულ ხმათა „რეანიმაციის“ წყალობით საზრისი, ერთგვარი საყრდენი დაუბრუნოს საკუთარ არსებობას. ამ თვალსაზრი-

სით, ყოველი მოთხრობა ხსნის დაუოკებელი მოთხოვნილებიდან და სასიცოცხლო სივრცის პოვნის სურვილიდანაა ამოზრდილი.

დავაკვირდეთ „აგარაკის“ პირველივე ფრაზას: „ კიკეთის სახლი დამესიზმრა. ამ სახლმა ბაბუაჩემი გამახსენა, რადგან ის უმეტესად კიკეთში გადაღებულ ფოტოებზეა აღბეჭდილი.“ აი, ეს კამერტონი განსაზღვრავს თხრობის მდინარებას, მის ლინგვისტურ ქსოვილს, ემოციურ სპექტრს, ტექსტში „კოდირებული“ მარადიული ძრავის გუგუნს. დროს აქ პირდაპირ შენობები „ ასხივებენ“ და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ერთდროულად ორი პარალელური რეალობის მიჯნებს შორის ან მათი „შეჯახების“ შედეგად წარმოქმნილი ენერგეტიკული ველის ეპიცენტრში აღმოჩნდი. ეს იმ ტიპის განზომილებაა, სადაც კალენდარული დროის აღქმა უფერულდება, ხოლო საგნები და მოვლენები კი ცნებამდელ მდგომარეობებს უბრუნდებიან.

„აგარაკში“ მეხსიერების მრავალპლასტიანი ბუნება დროის რამდენიმე ნაკადის მეშვეობით საცნაურდება: პირველია რეპრესიების პერიოდი (ბაბუას ხაზი), მეორეა -პროტაგონისტის ბავშვობა და ბოლოს – აწმყო დრო ანუ ფუტურო რეალობა. ამ გამოშიგნული და ცნობიერებადაზიანებული ყოფიერების იმიჯია კიკეთის აგარაკის და ზოგადად, სივრცის სავალალო მდგომარეობა: „ უკვე სახლთან ვიდექი და შევყურებდი ჩამოფხავებულ კედლებს. ეს ისეთი რეალობა იყო, რომელსაც მოჩვენების მისხალიც არ ერია. შორიახლოს მდგარ სხვა სახლებსაც გავხედე. იქაც ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. არამცთუ არავინ არ იყო, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ აქაურობა კარგახნით მივიწყებოდა ყველას.“

შემდეგ: „ … მთელი ეს სამყარო რეალობაში დაემსგავსა ოკეანის ფსკერზე დაშვებულ გემს, რომლის კაიუტები მოღიავებულია და იქ არავინ შედის და იქიდანაც აღარავინ გამოდის. და ვგრძნობ: რეალობაზე უფრო მძაფრად ეს სამყარო ჩემს ქვეცნობიერებაში არსებობს. მე ხომ იქ მუდმივად ვარ, მუდმივად ვეხები იმ რიფებს, რომლის ქვეშაც ეს სამყაროა გაშლილი. უცნაურია, ახლაც კი, ახლაც, როცა კიკეთში ჩემი სახლის ჩატეხილი კიბის საფეხურზე ვზივარ, მე იმ ქვეცნობიერ უკუნში დავდივარ და ხან რას ვეჯახები და ხან რას…“

* * *

დასაწყისში ხედვის წერტილზე ვსაუბრობდი და შეუძლებელია გვერდი ავუაროთ „შინ ვერდაბრუნებას“. ამ, შინაგანი მონოლოგის მახასიათებლებით რეკონსტრუირებული, მოთხრობის არსიც სწორედ ხედვის წერტილის განსაზღვრაში, საჭვრეტი ლინზის ფოკუსის გასწორებაში მდგომარეობს. საერთოდ, ანდრო ბუაჩიძის პოეტიკის ერთ-ერთი უარსებითესი კომპონენტი სწორედ შინაგანი მზერის, ხედვის დიაპაზონის უჩვეულო, უნიკალურიც კი, მდგომარეობაა. თბილის მასთან ხშირად შორი მანძილიდან ჩანს („ საღამოვდება და მე შემიძლია ჩემი მაღალსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულიდან გავხედო სივრცეს, გავხედო თრიალეთის ქედს, ქვემო და ზემო ბაგებს, წყნეთს, შორს, ქედის ხერხემალზე გამწკრივებულ მუქყვითლად მოციმციმე ელნათურებს. იქით ბეთანიაა, კიკეთია, მანგლისია, მარადისობაა, სხვა მხარეა, უკვე განვლილი ცხოვრებაა, ენითუთქმელი ნაღველია.“), ხშირად კი უშუალოდ კონკრეტული უბნიდან, რესტორნიდან, ქუჩიდან, სასაფლაოდან, ხიდიდან. „ ტრავმაი, სახელად წარსული“, მაგალითად და „მანათობელი წერტილები“ დიუსელდორფში მოხვედრილი პროტაგონისტის ხეტიალს ასახავს: სასტუმროს ნომერი, ბისმარკშტრასე, ჰაინრიჰ ჰაინეს ხეივანი, ჩიხები, დუმილი, სიბნელე... „მოთხრობისთვის თემას დავეძებ“ – საკუთარ თავს ახსენებს მთხრობელი და ნელ-ნელა ქვეცნობიერის ფსკერიდან ნაფლეთებად ამოდიან შთაბეჭდილებები, ხმები, საგნები, ამბები, მტკივნეული შეგრძნებები... ის დიუსელდორფშის ქუჩებშიც საკუთარ ქალაქს ეძებს, საკუთარი ქალაქის აკუსტიკას. უფრო უკეთ, იმას, რაც მხოლოდ ნარატორის მეხსიერების კედლებზეა შემორჩენილი. შედეგად ჩნდება სიუცხოვის, სევდის და ეგსისტენციალური მოწყენილობის, სულიერი ლტოლვილობის, მარტოსულობის განწყობა...

„შინ ვერდაბრუნებაში“ ავტორი ვაკის სასაფლაოს ატმოსფეროს იხსენებს: „ ... სასაფლაო მარადისობის სივრცეშია განფენილი. მარადისობა, ენითუთქმელი მუდმივობა აქ სითხესავით ყველაფერზეა გადაღვრილი – ქვებზე, წარწერებზე, კვიპაროსებზე, რკინის ღობეებზე, დღისით იგრძნობა ეს გადმოღვრილი მუდმივობის ნათელი და იგრძნობა ღამითაც“. ეს ფრაგმენტი მთლიანი კრებულის მეტაფორადაც შეგვიძლია აღვიქვათ, რადგან ყოველ მოთხრობას (ისევე, როგორც ლიტერატურულ პორტრეტებს) უცნაური, ჟელატინის სუბსტანციისმაგვარი მუდმივობის მკვრივი სხივი აკრავს გარსივით...

გავიხსენოთ „სოლოლაკში“ ასახული გარემო: სადარბაზოებში გამეფებული ბურუსის ნაღვლიანი სინოტივე, ხმების, ბგერების, გრძელი სხივების პანოპტიკუმი, მოძრავი ჩრდილების გაუთავებელი, მთრთოლვარე ტოკვა, ჰაერში მოძრავი მტვრის ნაწილაკები და დროის ფრთხილი, უხმაურო დინება...

* * *

წერილის სათაურად გამოყენებული „ყოფნის ხსოვნა“ ემილ ჩორანის ფრაზაა. ვფიქრობ, ანდრო ბუაჩიძის „ტრამვაი, სახელად წარსულის“ ორი მაგისტრალური თემის მოხელთება სწორედ ამ, მეტაფორასავით ტევადი, ფრაზის სახით შეგვიძლია. კრებულში წარმოდგენილი მოთხრობების აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ხსოვნისა და ყოფიერების შეხების წერტილებს იკვლევს. ანდრო ბუაჩიძე ჩვეული ოსტატობით, ლირიზმის უმძაფრესი შეგრძნებით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენობრივი არსენალისა და სააზროვნო დიაპაზონის მეშვეობით ახერხებს ხსოვნის ჰადესში მოგზაურობასა და ცნობიერების ფსკერზე მიძინებული მთვლემარე შთაბეჭდილებების „შეღვიძებას“.

განცდა კი, კრებულის კითხვისას რომ მეუფლებოდა, ვლადისლავ ხოდასევიჩის ერთ ბრწყინვალე ლექსშიცაა ასახული, რომელიც, სხვათა შორის, ანდრო ბუაჩიძემ თარგმნა და „ტრამვაის“ ეპიგრაფადაც გამოდგებოდა:

ჩამოვიფერთხავ ქუთუთოზე ძილის ნამცეცებს,
და ვარ მთელი დღე მღელვარებით და შფოთვით სავსე.
საღამოობით დავეცემი, თითქოს ამცელეს,
ბოლო ამბორი დაღლილობის წამაქცევს წამსვე.
მაგრამ არ მოაქვს მოსვენება ძილშიაც იღბალს,
და მესიზმრება მიწიერი, მშფოთვარე ცხადი,
ჩემივე ბოდვა მეყურება სიზმრების მიღმა,
და დღეს ვიხსენებ უკვე განვლილს და არანამდვილს.“

ჯოან დიდიონი. „ჯადოსნური ფიქრის წელიწადი“
მთარგმნელები: **თამარ ბაბუაძე, ლელა ფიროსმანიშვილი, ელენე მარგველაშვილი**
გამომცემლობა პოლონომიალი

მარიკე ლუკას რეინეველდი. „მძიმეა დღის ბოლო“
მთარგმნელი: **დავით ღოლიჯაშვილი**
გამომცემლობა პალიტრა L

ბლოგის ავტორი – **თემუკა ზოიძე**

ამ ბოლო დროს გამომცემლობა პალიტრა L-მა მისთვის სახასიათო კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებების გარდა სულ უფრო აქტიურად დაიწყო უახლესი მსოფლიო ლიტერატურისთვის მნიშვნელოვანი ტექსტების გამოცემაც (მაგალითად, თვალი მიადევნეთ სერიას ლიტერე ინვენტე). ამავდროულად კი, ცოტა არ იყოს დაგუბებულ ქართულ საგამომცემლო სივრცეში ახალი გამომცემლობა პოლინომიალი გამოჩნდა იშვიათად დახვეწილი ლიტერატურული ალღოთი და ისეთ განსხვავებულ, ცოტა სარისკო გზამკვლევებს თუ არ უფრთხით, რომლებმაც შეიძლება თქვენთვის აქამდე სრულიად უცნობი, მაგრამ გამორჩეულად საინტერესო საკითხავი გაპოვნინოთ, მათი გამოცემები არ უნდა გამოგეპაროთ.

სწორედ ამ გამომცემლობების ჩვენთან ჯერ დამსახურებულზე ნაკლებად ცნობილ იმ ორ სიახლეზე მინდა მოვყვე, რომლებზეც წინასწარ ბევრი მეც არაფერი ვიცოდი და მხოლოდ ორივეს წაკითხვის შემდეგ გამიელვა თავში, რომ ამ წიგნებს გარკვეულწილად საერთო ტკივილი აერთიანებს. ისიც შეიძლება, რომ საერთოდაც რაღაცას ვაჩმახებ და არც არაფერი აქვთ საზიარო, გარდა იმი-

სა, რომ ორივე ძალიან მაგარია და სულ არ უნდა ბევრი ლაილაი, უბრალოდ უნდა წაიკითხო (ვინიცობაა, ამ რევიუს ბოლომდე ჩაკითხვა დაგეზაროთ და მოკლე რეკომენდაცია გირჩევნიათ).

ისე მოხდა, რომ ჯერ ჯოან დიდიონის ჯადოსნური ფიქრის წელიწადი წავიკითხე და მერე მალევე მარიკე ლუკას რეინეველდის მძიმეა დღის ბოლო მივაყოლე. ერთი შეხედვით, ეს ტექსტები ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მათი შემოქმედები: ჯოან დიდიონი კლასიკოსად ქცეული გარდაცვლილი ავტორია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარიკე ლუკას რეინეველდი კი თანამედროვე მწერალი; ის ამერიკელია, ეს ნიდერლანდელი; იმას უფრო ჟურნალისტად იცნობდნენ, ეს კი უმეტესად პოეტობდა; იმან მემუარები დაწერა, ამან კიდევ რომანი გააშანშალა. ერთი სიტყვით, ცა და დედამიწაო, მაგრამ მოიცათ, მე ჩემი უნდა გითხრათ და მაგათ შუა ხიდი გავდო, შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაზე ტყუილად კი არ ვსწავლობ! (ბებიაჩემს არ გააგებინოთ ოღონდ, ჰგონია, დიპლომატი უნდა გამოვიდე.)

ისე, რა მაგარი იქნებოდა, ჯოან დიდიონი რომ ყოფილიყო ბებიაჩემი. განა მარტო ჩემთვის, მაგისთვისაც დიდი ამბავი იქნებოდა, რადგან, სამწუხაროდ, შვილიშვილი არ ჰყოლია. თუ რატომ შეიძლება მოგინდეს, დიდიონი ბებიაშენი იყოს, სულ რომ არაფერი იცოდე მასზე, ამისთვის მისი ფოტოების დათვალიერებაც კმარა: მისი მტკიცე და თან სევდიანი მზერისთვის თვალის გასწორება ერთ რამედ ღირს. ეს პატარა და თხელი ქალი, ხშირად სიგარეტით ხელში ან მზის სათვალით საუცხოო ქარიზმას რომ ასხივებს, თავის სფეროში რევოლუციონერი იყო, რომელმაც ამერიკული ლიტერატურის სხვა გიგანტებთან ერთად „ახალი ჟურნალისტიკის“ ჟანრს ჩაუყარა საფუძველი. ჯოან დიდიონმა სახელი, პირველ რიგში, დოკუმენტური პროზით გაითქვა და თავის ესეებში ავთენტურად, მაგრამ ამავე დროს თავისი უნიკალური პერსპექტივით აღწერა და შემოინახა მეოცე საუკუნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური ცვლილებები, ფიგურები, რომლებმაც ამერიკული კულტურა განსაზღვრეს, ქალაქები, რომლებშიც ცხოვრობდა და მოგონებებს აგროვებდა. ამასთანავე, ის წერდა სცენარებს ფილმებისთვის, რომლებიც შეიძლება უკვე გინახავთ და გიყვართ კიდეც, და გამოქვეყნებული აქვს არაერთი რომანი, ბესტსელერებად რომ იქცა. ყოველივე ეს კი ლამის თანაბარი წარმატებით გამოსდიოდა თავდაუზოგავი შრომით გამოთლილი თავისი სამწერლობო ენით, წარუშლელ შთაბეჭდილებას რომ ახდენს ყველაზე: დიდიონის საგულდაგულოდ დალაგებული სიტყვები და წინადადებები ჰარმონიულობით მუსიკალურ კომპოზიციას მიემსგავსება.

ჯონ დიდიონის ყველაზე ცნობილი ტექსტი ჯადოსნური ფიქრის წელიწადია, რომელიც თავისი ცხოვრების შედარებით უფრო გვიანდელ პერიოდში ტრაგიკული შემთხვევების დაუნდობლობამ დააწერინა: მაშინ, როცა საავადმყოფოში უგონოდ მყოფი შვილის გადარჩენის უმცირეს შანსებს ებღაუჭებოდა და ამაზე უარესი აღარაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, ერთი ჩვეულებრივი ვახშმობისას ქმარი თვალწინ გარდაეცვალა. სწორედ ამ მომენტიდან იწყებს დიდიონი მემუარებში იმის გამოკვლევას, თუ როგორ მოქმედებს გლოვა ადამიანზე – ერთი მხრივ, საკუთარ ქმედებებს, განცდებს აკვირდება, ამავდროულად კი ამ თემაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას შეისწავლის და საკუთარი თავისთვის პასუხების ძიებასთან ერთად მკითხველს გლოვის, როგორც ფენომენის, სიღრმისეულ გააზრებას სთავაზობს. თუმცა, ეს წიგნი არ არის მხოლოდ გლოვაზე, მეტიც, მგონია, რომ ის უფრო სიყვარულზეა. სწორედ მაშინ, როცა დიდიონმა ცხოვრების თანამგზავრი დაკარგა და ნელ-ნელა დაიწყო მიხვედრა, რომ ქმრისთვის სახლში ძველებურად გამზადებული ფეხსაცმელების მიუხედავად, ის უკან აღარ დაბრუნდება, მათი ურთიერთობის დრო გაჩერების ნაცვლად უკუღმა იწყებს სვლას და ვახშმობისას გულის მოულოდნელად გაჩერების წინა წამების, წუთებისა თუ დღეების გახსენებასთან ერთად მთელ განვლილ ურთიერთობას სულ სხვა თვალით აფასებს, ათწლეულობით ნაგროვებ საერთო მოგონებებს ახლებურად აცოცხლებს.

თუ ჯადოსნური ფიქრის წელიწადი სიყვარულზეა, მძიმეა დღის ბოლო უსიყვარულობაზე გვიყვება. ეს წიგნიც სიკვდილით იწყება: პროტაგონისტი და ნარატორი, ათი წლის იასი, რომელიც მკაცრ რელიგიურ ოჯახში იზრდება, საშობაო სუფრისთვის მოსუქებული კურდღლის გადასარჩენად ღმერთს შესთხოვს, რომ თავისთან საყვარელი ცხოველის ნაცვლად იასის უფროსი ძმა წაიყვანოს.

და ასეც მოხდება.

ამინ.

ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ იასის გარე სამყაროსგან ისედაც ჩაკეტილ ოჯახს უსაზღვრო დარდისა და ტკივილის მუქი ფარდები ჩამოეფარება, რომლებთანაც დროდადრო ბიბლიიდან დაჟინებით ამოკითხული ნაწყვეტები ვერას გახდება. აუხსნელ მწუხარებასთან გასამკლავებლად ოჯახის წევრები სხვადასხვა დესტრუქციულ, მეტწილად თვითდესტრუქციულ ქცევებს მიმართავენ და ერთმანეთისთვის ნუგეშისცემის ნაცვლად საკუთარ თავებს იდანაშაულებენ: დედას ჰგონია, რომ წარსულში აბორტის გაკეთების გამო დასაჯა ასე უფალმა და ქამაზე ლამის მთლიანად ამბობს უარს, უფროსი ძმის დაკარგვით გაოგნებული შვილები კი ფიქრობენ, რომ ცუდი

ყოფაქცევის გამო მოიწიეს ეს ყველაფერი. იმ რელიგიური რწმენით მოწამლულებს, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ღმერთის მრისხანებით გაშინებს და ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვას დუუმორეული გპირდება, გამოსავლად მხოლოდ თვითგვემა ესახებათ. ეს კი ყველაზე სასტიკად ბავშვობისა და ზრდასრულობის გასაყარზე მყოფ მოზარდებზე მოქმედებს, რომლებიც არსაიდან დამტყდარი უბედურების აუტანელი სიმძიმის გამო სიცოცხლისა და სიკვდილის, სურვილისა და დანაშაულის, სიყვარულისა და მარტოობის, სხეულისა და სამყაროს შესწავლას მეტისმეტად სასტიკ გარემოებაში იწყებენ.

უზომო სევდის მიუხედავად, დიდიონის ენამ კითხვისას მაინც შეიძლება გაპოვნინოს შვება, აი, მძიმეა დღის ბოლო კი ფიზიკურ დისკომფორტს განგაცდევინებს. ამ რომანში აღწერილი სცენები არც ისე იშვიათად იმდენად შემზარავია, რომ body horror-ის ჟანრს თავისუფლად შეგვიძლია მივაკუთვნოთ. კითხვის პროცესში პერიოდულად მახსენდებოდა იენ მაკიუენის ცემენტის ბაღი თავისი დამთრგუნველი ატმოსფეროთი და მიხაელ ჰანეკეს ფილმების სისხლისგამყინავი ულმობელობა. ამ ეფექტს მარიკე ლუკას რეინეველდი თავისი უაღრესად პოეტური ენით აღწევს, რომელიც მცირეწლოვანი მთხრობლის პირით წარმოთქმული განსაკუთრებულად მშვენიერი და იმავდროულად, შემაძრწუნებელია. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, მის ამ სადებიუტო რომანს, რომელმაც საყოველთაო აღიარება და ბუკერის საერთაშორისო პრემია დაიმსახურა 2020 წელს, მისი მშობლები შიშით ვერ კითხულობენ. თავზარდამცემ სიუჟეტთან ერთად ეს, ალბათ, იმის ბრალიც უნდა იყოს, რომ რომანში აღწერილი მოვლენები ნაწილობრივ მარიკე ლუკას რეინეველდის პირადი გამოცდილებითაა შთაგონებული: თავადაც ნიდერლანდების ერთ-ერთ ფერმაში, რელიგიურ ოჯახში გაიზარდა და სამი წლის ასაკში დაკარგა ძმა.

დიდიონის მემუარული ჯადოსნური ფიქრის წელიწადისგან განსხვავებით მძიმეა დღის ბოლო კია ფიქცია, მაგრამ მაინც ავტორის ბიოგრაფიით ნასაზრდოები. თანაც ამ ორი წიგნის პროტაგონისტები შეუვსებელი დანაკარგის შემდეგ დაახლოებით ერთ გზას გადიან: ორივე თავს იდანაშაულებს მომხდარში; ტანჯავთ ეჭვი, რომ უბედურების არიდება შეეძლოთ; უჭირთ დაჯერება, რომ რაც მოხდა, აღარ შეიცვლება; რაციონალობის საწინააღმდეგოდ გარდაცვლილი ახლობლის დაბრუნებას იმედით ელოდებიან. და რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ უსაშველოდ მძიმეა, საყვარელ ადამიანებთან დაკავშირებულ კიდევ სხვა უამრავ წვრილმანზე ფიქრს თავიდან ვერ იშორებენ. განსაკუთრებით დღის ბოლოს.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

ფესტივალის ორგანიზატორის, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გუნდი:

თამარ ლებანიძე
ასოციაციის თავმჯდომარე

თინა ასათიანი
ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე

თინათინ ბერიაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

თამუნა სორდია
ფინანსური მენეჯერი

რუსა ნიკოლაიშვილი
პროექტების მენეჯერი

ანა მარწყვიშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი